ქალის გზა

საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი
№1 (297)
1 იანვარი – 15 თებერვალი 2023
ფასი 1.50 ლარი
გამოდის თვეში ერთხელ

მაყვალა გონაშვილი

სიყვარულის მასწავლებელი

მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ
ბედი ქართლისა,
ლოცვით და ცრემლით აგივსიათ
სიბრძნის სალარო,
რადგან თქვენ მყავხართ, მზის ნათელი
ადგას ჩემს მამულს,
სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო.
როდესაც ერი ირწეოდა, ვითარც
ლერწამი,
თქვენ გვაფრთხილებდით, ნუ აჰყვებით
შეშლილ ქარებსო,
ერის ტკივილის ბეჭედი ხარ, სიწმინდის
მცველი,
ბრძენო კეთილო, უწმინდესო,
უნეტარესო.
მეც ბევრჯერ მსაჯეს, თვალში ბეწვიც
არ შემარჩინეს,
ბევრჯერ ეს გული, ნაწამები, სევდით
ამევსო,
მადლობელი ვარ ნუგეშისთვის,
მწყემსო კეთილო,
ღირსო მამაო, უწმინდესო, უნეტარესო.
ჟამს სიძულვილის თქვენ სიკეთის
გვასწავლით ანბანს,
გიყვარდეთ მტერი, ნუგეში ეც
მგლოვიარესო,
შენს გზას მივყვებით, სიყვარულის
მასწავლებელო,
ერის მოძღვარო, უწმინდესო,
უნეტარესო.

ქალი სახელით

მითხრეს:
„გრცხვენოდეს, როგორ გხურავს
თავზე ჰიჯაბი,
პატივს არ სცემო წინაპართა წესებს,
ადათებს“,
მითხრეს:
„მორჩილი უნდა იყო“,
დამაჭრეს ფრთები.
მითხრეს:
„ამაყად ნუ გვიმზერო“!
ჩინი წამართვეს.
მითხრეს:
„ლამაზო, სამკაული მოგიხდებაო,
სისხლის ვარდებით მომიჩითეს მთელი
სხეული“.
ზნეობის მცველი - ქონდაქარი
მიმზერდა ავად,
„კიდევ დაჰკარით“, - გაჰკიოდა
ჟინმორეული.
სექტემბრის ზეცა გადაფარეს თითქოს
ყორნებმა,
წამერთო ძალი, მომერია თვალებზე
რული,
„გეყოფათ-მეთქი“, - კვნესა დასცდა
გამშრალ ბაგეებს,
ვთხოვდი: - „გაჩერდით“, არ
გაჩერდნენ,
გაჩერდა გული.
ღრუბლის ჰიჯაბი მოისროლა მზემ და
ატირდა,
სილურჯე ღამემ მთვარის ცელით
შავად მოცელა,
მერე სითეთრემ გადაშალა ის მრუმე
ფერიც,
თეთრმა - საწყისმა ყოვლისა და
ყოვლისმომცველმა.
გაჩერდა გული, თუმცა მისი ნება-
ძახილი,
ისე, ვით ექო გადავიდა ქალიდან ქალში
და დედამზემაც მოიკვეცა ოქროს
დალალი,
როგორც ალამი მწუხარების გაფინა
ქარში.
გახსოვდეთ, მახრა ამინია ჩემი
საახელი,
რაც იწერება სისხლით იმას ვერავინ
წაშლის.

მოშაირე - ფინთი გოგია

სულ მოსაჩვენად ვმღეროდი,
ვითომ ვილხენდი, ვლაღობდი,
ცრუ წუთისოფლის თონეში
კუტი პურივით შავღონდი.
ჩვენი მთავრობის ცვლილებაც
ჰგავს კახურ შაირს თუ არა,
რამდენი ვირიც ვიყიდე
ყველა გამოდგა კუანა.

მღეროდა ფინთი გოგია,
ფანდურს ჟღრიალი გაჰქონდა,
ვინ რა ჩინ-მედლებს აჰყრიდა,
ან დასაკარგი რა ჰქონდა?

ქიზიყში ობლად გაზრდილი,
იყო უტეხთა გორისა
და ცაზე, როგორც მტევანი,
მწიფდა მზე, შემოდგომისა.

***

მიყვარს დილა ჟოლოსფერი,
უფრო მეტად - ღამე გიშრის,
მიყვარს, როცა გიშლი ნერვებს,
გიშლი ვნებებს, საწოლს გიშლი.

თავად სიყვარული მიყვარს,
ჩემო ორთავ თვალის ჩინო,
სიძულივილის საუკუნეს
ბზარი უნდა გავუჩინო.

ათასმეორე ღამე

სამსალანარევს რად სვამ შარბათს
ყოფის ჯამიდან,
მის ფსკერზე როდი ილექება ჩვენი
წარსული,
მუდამ თან დაგვდევს, როგორც
სისხლის ჯადო-შელოცვა
თვალის უპეზე ნემსის წვერით
ამოკაწრული.
ქალს ეძებდი და ჩამოგემსხვრა ნეკნი
მრავალი,
მარცვლე ამაოდ ვარსკვლავების
კრიალოსანი,
ყური დამიგდე, დავამღერებ ისეთ
ბეითებს,
რომ გაოცდება დუნიაზე ყველა
მგოსანი.
რით განუგეშო? ხომ გაკმიე სიტყვების
საბრი?
შენთვის ვაკვნესე, ავატირე უდი და
ჩანგი,
და როგორც ღამის ფარფალია, თუმც
შიშით ვკრთოდი,
სანთლების შუქზე ფრთებგაშლილი,
თამამი ვჩანდი.
მომენდე გულით, საუკუნო როდია
ჭმუნვა,
წარმავალია მწუხარებაც
სიხარულივით,
მე კი მრავალი ღამე სიტყვის გასვი
ბადაგი,
მუცლით მეზღაპრედ გადავიქეც შენი
გულისთვის.
ზეცის ზეწარი გავშალე და
მოგესურვილე
და წუთით მაინც დაგავიწყე
წუთისოფელი,
იქნებ მომენდო და დამინდო და
დამებედო,
რადგან ცხოვრება იფრითია
დაუნდობელი.
რომ არ მოგეკალ, წყაროსავით
გიკლავდი წყურვილს,
ღამე წიგნივით ვფურცლე, ვფურცლე
და არ გათავდა,
მე კი გავთავდი, დავილიე, როგორც
სანთელი,
სანამ მზე ზეცის ლურჯ მინდორზე
ამოთავთავდა.
გაქრა შიში და ტანჯვის გზებით მეწვია
სიბრძნე: —
გრძნეული ქალი აცეკვებ ავსულს,
შეითანს,
თუკი იპოვე ცხოვრებაში შენივე თავი,
თუკი შესძელი, თავი შენი თავად
შეიცან...
თუმც ყველა ქალი როდი არის ღირსი
დანდობის,
თუმც ყველა კაცი ერთგულების როდია
ღირსი,
რად უნდა ქება ბრძენს, ისედაც არის
ქებული,
ბოროტს სასჯელად ბოროტებაც
ეყოფა თვისი.
სხვა რაღა გითხრა, ისეც ბევრი სიტყვა
დავხარჯე,
კმაყოფილი ხარ ათასერთი ღამით
ძლეული.
სიტყვის პერანგი ჩაგაცვი და სიტყვით
მოგნუსხე,
ჩემი ხარ მთელი სულითა და მთელი
სხეულით.
მე კი კვლავ მაკრთობს ათასერთი
ღამე — გიშერი,
ცაზე ხმალივით კრთოდა მთვარე,
ვერ ვიძინებდი,
უკვე მომენდე და ალაჰიც ვეღარ
გიშველის...
ათასმეორე ღამე დადგა შურისძიების!

რევაზ მიშველაძე

(დასაწყისი „მწერლის გაზეთი“ 2021 №3,4,5,6; 2022 №1,2,3,4,5)

მემუარები

როგორ ირწეოდა ხომალდი

13-14/X 90

ტელევიზიით გამოვედი და ჩემს საარჩევნო პროგრამაზე ვილაპარაკე.

ავხსენი ჩემებურად, რა უშველის საქართველოს.

რა და ეროვნული ფენომენის გაძლიერება-მეთქი.

საღამოს (14) მთელი ჩემი ჯალაბით საერო თეატრში გახლდით („საერო“ ჰქვია მეტეხის თეატრს).

სეზონი გახსნეს ჩემი განახლებული დადგმით „ტვირთი“ (უფანდუროდ ნამღერი).

მაყურებელმა, რომ იტყვიან, გულთბილად მიიღო.

15,16(X 90

დასაბეჭდად ვამზადებ წიგნს — „იღბლად გადარჩენილი ნოველები“.

ბევრმა დამირეკა ტელევიზიით გამოსვლის გამო.

კამილა კორინთელმა (მთარგმნელი) შიში გამოთქვა — ვაითუ არაქართველები მოვიმდუროთო.

ვინც მტრულად მოგვეკიდა, ისინი მომდურავებიც არიან, ჩვენს მიწა-წყალს გვართმევენ ავი სტუმრები, ხოლო ქართველთმოყვარე სტუმრებს არავინ ერჩის-მეთქი.

16-ში მთელი დღე ავტოპროფილაქტიკაში გავატარე.

17/X 90

აკაკი წერეთლის საიუბილეო კომისიის სხდომა გაიმართა.

ვთქვი, იუბილის გადადება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია-მეთქი.

გუმბარიძე (რატომღაც) დამეთანხმა. საერთოდ, ხშირად ამბობდა: მიშველაძე სწორია, ბ-ნ რევაზს ვუჭერ მხარსო.

რაშია საქმე? რაღაც საშინელს მიმზადებენ. ამიტომ მისვამენ თავზე ხელს.

ამ ხელისუფლებისგან კარგს არაფერს ველი.

18-20/X 90

ინსტრუმენტალურ ქარხანაში დეპუტატებთან შეხვედრაზე დამიძახეს. მაგრამ უარი ვთქვი.

არ მიყვარს მწკრივში ჩაჯდომა და ხმებისთვის მათხოვრობა.

ჩემი სტილი არ არის.

უნივერსიტეტში სტუდენტთა სამკაციანმა ჯგუფმა შიმშილობა გამოაცხადა. საზოგადოება „სტალინი“ გაუქმდეს და არჩევნებში მონაწილეობა აეკრძალოსო.

შევედი, ვესაუბრე. ეს რა დემოკრატიაა-მეთქი, ბიჭებო, როგორ შეიძლება ერთი პარტია მეორის გაუქმებას ითხოვდეს, ბოლშევიზმისგან რითი განვსხვავდებით-მეთქი.

როგორ ფიქრობთ, შედეგი? უმაღლესმა სასამართლომ „მოშიმშილეთა დაწოლით“ უარი უთხრა „სტალინის“ არჩევნებში მონაწილეობაზე.

18-ში სიტყვა ვთქვი დიღომში სახელოვნო კოლეჯის გახსნაზე.

20-ში სიტყვა ვთქვი ბრაზილიელ მხატვართა გამოფენის გახსნაზე.

„ლიტერატურულ საქართველოში“ ჩემი ნოველაა „ამერიკა, ამერიკა“.

თეატრალური საზოგადოების სტამბას ჩავაბარე დასაბეჭდად ჩემი წიგნი „იღბლად გადარჩენილი ნოველები“. სტამბის დირექტორი ტრისტან სიდამონიძე კარგი კაცია.

ნოდარ გრიგალაშვილს ეკუთვნის ჩემი პიესების გამოცემის ინიციატივა და რედაქტორიც (კარგი რედაქტორია, ნიჭიერი კრიტიკოსი და პოეტი) თვითონ არის.

21/X 90

დავწერე ახალციხელი ჟურნალისტის კუკური თორდიასადმი მისალმების ტექსტი და ხელი მოვაწერინე კარგ ქართველ მწერლებს.

დაბადების დღეს ვულოცავთ კუკური თორდიას, რომელიც 40 წლის წინათ წავიდა და დასახლდა მესხეთ-ჯავახეთში.

ვისაც მივმართე, იმათგან ხელი არ მომიწერა მხოლოდ ერთმა — ტარიელ ჭანტურიამ.

არ ვკიცხავ. ტარიელს კოლექტიურ წერილებზე თავისი მოსაზრება აქვს. კოლექტიურ მისალმებებსაც და ნეკროლოგებსაც არ აწერს ხელს.

22/X 90

გუშინ დათო ქადაგიძე და ზაურ მეძველია იყვნენ ჩემთან და მაცნობეს, რომ ჩვენი ბლოკი პარტიიდან გასულთა სიის დაუზუსტებლობის გამო მოუხსნიათ არჩევნებიდან.

ისე, კაცმა რომ თქვას, ბევრია ჩვენს ბლოკშიც იქეთ-აქეთ რომ აწყდება. პარტიაშიც უნდა დარჩენა და ეროვნულ მოძრაობასაც მიეტმასნოს. მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ? ვინც უკვე კარგა ხანია გავედით პარტიიდან?

ვიცი, ეს რატომაც მოხდა...

23/X 90

დავურეკე აკაკი კარანაძეს; თქვენ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ხართ, განიხილეთ არჩევნებში ჩვენი ბლოკის მონაწილეობის კანონწესიერების საკითხი-მეთქი.

თუ გუმბარიძე გვეტყვის, განვიხილავთო.

მეც რას ვრეკავდი. თურმე ჩვენი „გამოყვანა“ ცეკას ხელით მომხდარა.

ასეც ვეჭვობდი.

24/X 90

სანდრო მრევლიშვილმა „ნაპრალის“ დადგმა მინდაო. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვსო.

ჩემი თავი გენაცვალოს-მეთქი. ერთადერთი სანდრო შემრჩა რეჟისორებში ერთგული.

რობერტ სტურუამ, თემურ ჩხეიძემ, მამუკა სვანაძემ და კოტე მახარაძემ პირი მიშალეს, როგორც ჩანს, დაპირება და სიტყვის გატეხვა თეატრში ჩვეულებრივი ამბავია.

25,26/X 90

„ლიტ. გაზეთში“ გაზეთ „კავკაზიდან“ გადმობეჭდილი სტატიაა. ვიღაც ჩეჩენ-ინგუშის მიერ დაწერილი მე და ფანჯიკიძეს გვაკრიტიკებს — აფსუებთან დაკავშირებით.

დავწერე მრისხანე რეპლიკა. ორშაბათს მივუტანთ „ლიტერატურულ საქართველოს“.

დღეს არჩევნებია.

27...30/X 90

კოლაუ ნადირაძე გარდაიცვალა.

რაინდი პოეტი.

გაუხრელი, გაუღუნავი, ფოლადისებური კოლაუ.

ლამის 100 წლისა.

დავწერე წერილი სამგლოვიარო. ხვალ იქნება „კომუნისტში“ (ნუთუ ამ გაზეთის სახელის შეცვლას ვერ ვეღირსებით?).

დღეს გურამ პეტრიაშვილი შემხვდა სახეგაბადრული. გავიმარჯვეთო, მალე ახალ მთავრობას შეადგენსო ზვიადი.

ვნახოთ რა იქნება. თუ საჭესთან ზვიადი დადგა, ძალიან უნდა იფრთხილოს. კრემლი ზვიადს გამარჯვებას არ აპატიებს.

მთავრობაც ფრთხილად, მოზომილად უნდა შეადგინოს. არ შეიძლება მისი ამქრის ყველა წევრის გამინისტრება.

ზოგ მათგანს ორ ბატსაც ვერ ჩააბარებ.

31/X 90

„კომუნისტში“ კოლაუზე ჩემი წერილია.

ხვალ საინგილოში მივდივარ, მოულოდნელად მგზავნის უნივერსიტეტი და ვწუხვარ, დაკრძალვას ვერ დავესწრები.

დათო შარაბიძე მოვიდა ჩემთან — ასპირანტი.

ხვალ შვედეთში მივდივარო.

გავატანე წერილი შალვა თევზაძესთან.

იქაური „სათვისტომოს“ უფროსია. დათო კარგი ბიჭი ჩანს.

1-4/XI 90

მანგლისში ვიყავით შეხვედრაზე მედეა კახიძე, ლევან სანიკიძე და მე.

ვიხსენებდით გზაში თამაზ წივწივაძის წერილებს გ. კარბელაშვილზე, ა. კალანდაძეზე, გ. ვარდოსანიძეზე და ხუტა ბერულავაზე დაწერილთ.

ლევანმა მითხრა, თუ გახსენდება ჩემი წიგნებიდან რამე კურიოზიო.

როგორ არა, ერთ შენს წიგნში დედა ცხრა აკვანს ერთდროულად არწევს-მეთქი.

მერე რა უჭირსო.

რა და როცა უმცროსი (ცხრათაგან) სააკვნეა, მაშინ პირველი უკვე, სულ მცირე, 16 წლის მაინც იქნება-მეთქი. თექვსმეტი წლის „ბავშვის“ აკვანში ჩაწვენა გაჭირდება-მეთქი, მაგას როინ მეტრეველი გეტყოდაო. სწორედ მან მითხრა-მეთქი.

ბევრი ვიცინეთ.

მანგლისელებს მივულოცე საბჭოთა ხელისუფლების დამხობა.

5-7/XI 90

მამაჩემს 75 შეუსრულდა.

შევიკრიბეთ შვილები. სევდაც ახლდა სუფრას. სევდა იმაზე, რომ დამიბერდა ჩემი ამაყი და ვაჟკაცი მამა.

ზვიადი გამოვიდა ტელევიზიით. ჯერაო, ჩვენ არჩევნებში არ გაგვიმარჯვნია, კომუნისტებმა ხმა გაავრცელეს, რომ ჩაგვაძინონ სიხარულისგანო.

მთავარი ბრძოლები აწი გველისო.

როგორ მინდა, ზვიადმა თავისი ამპარტავნობა და ამბიციები ჩამოიბერტყოს და სწორედ ისეთ პრეზიდენტად იქცეს, როგორიც ახლა სჭირდება საქართველოს.

8,9,10/XI 90

ხვალ ხელახალი არჩევნებია.

გუშინ „თვისტომის“ საკითხზე მინისტრთა საბჭოში მისული, შევესწარი, როგორ ჩაალაგა ნოდარ ჭითანავამ ბარგი და როგორ წავიდა შინ.

შემეცოდა. 14-ში ახალი მთავრობა მოვა.

ღმერთმა საწაღმართოდ მოიყვანოს.

11,12/XI 90

დღეს (11) ვალერი გაბელიას ბავშვის ნათლობის პურ-მარილზე შევხვდი ირაკლი წერეთელს, თორნიკე ფიფიას და სხვებს. დიდხანს ვისაურეთ. არ გეგონოთ, რომ რაკი პარლამენტი და კონგრესი გავინაღდეთ, ბრძოლა ამით დასრულდა-მეთქი. წინ უფრო დიდი ბრძოლები გველის და უნდა ვეცადოთ, თავი არ შევირცხვინოთ-მეთქი. არ იფიქროთ, თითქოს რუსეთი დათმობს საქართველოს, რა ენერგიული მიტინგებიც უნდა ჩაატაროთ-მეთქი. საჭიროა ძალთა კონსოლიდაცია და ფრთხილი, ჭკვიანური ევროპულ-აღმოსავლური პოლიტიკა-მეთქი.

დღეს (12) მუხრან მაჭავარიანმა დამიძახა და ბრძანება დამახვედრა, ბრძანებაში წერია, რომ მე დანიშნული ვარ მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ასოციაციათა საკოორდინაიო ცენტრის ხელმძღვანელად ხელფასით თვეში 220 მან. ეტყობა, სინდისის ქენჯნამ შეაწუხა მუხრანი...

ვიმუშავებ. ვინძლო ახაგაზრდა მწერლებისთვის სასარგებლო აღმოვჩნდე.

13,14/XI 90

დღეს უბედნიერესი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

გული დამწყდა ერთადერთხელ და მე მგონი, პირველად, რომ დეპუტატი არ ვიყავი და უშუალოდ არ მქონდა საშუალება მხარი დამეჭირა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ზვიადის არჩევისთვის და უფრო მეტად იმისთვის, რომ დღეს ეროვნულმა სესიამ გააუქმა საბჭოთა საქართველოს დროშა, გერბი, ჰიმნი და დაამტკიცა 1918 წლის დროშა, ჰიმნი და გერბი.

ესეც ასე. დამოუკიდებელ საქართველოს ვუახლოვდებით. ჯერჯერობით კი გარდამავალი პერიოდი გვაქვს. მე ვფიქრობ, ეს „გარდამავლობაც“ სწორად მოიფიქრა ზვიადმა.

პირდაპირ დამოუკიდებლობა რომ გამოგვეცხადებინა, რუსეთი ხვალვე გაგვაუქმებდა და გავბითურდებოდით.

ახლა მთავარია ავტონომიების გაუქმება. ეს იქნება ჩემი ოცნების ახდენა.

მიმიძღვის მე, რევაზ მიშველაძეს, რაიმე წვლილი თავისუფლების დღის მოახლოვებაში?

მე მგონი მიმიძღვის.

ჩახედავს საქართველო ოდესმე მაინც ჩემს წიგნებს? ჩაუკვირდება, რას ვწერდი და როგორ ვწერდი?

15/XI 90

დღეს უზენაესმა საბჭომ მუშაობა დაამთავრა.

მიიღეს კანონები ჯარის და ამნისტიის შესახებ.

ქართველი ახალგაზრდა რუსის ჯარში აღარ წავა.

ყოჩაღ ზვიად!

ქალებს ციხიდან გამოუშვებენ.

ყოჩაღ ზვიად.

რას იტყვის რუსი!?

16,17/XI 90

მოსკოვში სესია მიმდინარეობს.

გამოდიან დეპუტატები და ზოგი პირდაპირ, ზოგი გადაკვრით, გორბაჩოვის გადადგომას მოითხოვენ.

გამოდის გორბაჩოვი და თითქოს აქ არაფერიაო, კვლავ თავისი ძალაუფლების განმტკიცებას ცდილობს.

გაკოტრებული პრეზიდენტის მოკრძალება როდი ჩანს მის გამოსვლაში.

უტიფარი კაცია.

მოსკოვში სესიაზე გამოვიდა ზვიადის მოადგილე, ახალგაზრდა კაცი აკაკი ასათიანი.

ზეპირად, თამამად, გადაჭრით თქვა: „საქართველომ გარდამავალი პერიოდი გამოაცხადა, ოღონდ გორბაჩოვის გარდამავალი პერიოდისგან განსხვავებით,ჩვენ წინ კი არ წავალთ,არამედ უკან, დემოკრატიული საქართველოსკენო. თანაც, ამთავითვე უნდა გაგიცხადოთ, საქართველო სამოკავშირეო ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერსო.

გორბაჩოვს სიბრაზისგან ყბა მოექცა. ფერი დაკარგა შევარდნაძემ.

დასასრულ, გორბაჩოვი გამოვიდა და განუცხადა: ახალი მოდის ექსტრემისტული ხელისუფლება არ გამოხატავს საქართველოს აზრს. მე უკვე მომდის ცნობები, რომ ქართველები უკმაყოფილონი არიან რუსეთთან კავშირის გაწყვეტის იმ ქადაგებით, რითაც ახალმა პარლამენტმა თავისი ეროვნული ცხოვრება დაიწყოო.

ასეც ველოდი. რუსი აგრე იოლად არ დაგვთმობს.

საჭიროა ნაბიჯ-ნაბიჯ, გონივრულად და ფრთხილად ვიაროთ წინ.

გურამ პეტრიაშვილმა დამირეკა, შენი „განაჩენი“ წავიკითხე, აღფრთოვანებული ვარო. მართლაც განაჩენიაო. როგორაა ახლა ახალი მთავრობის საქმე-მეთქი, ვიბრძვით და შენი თანადგომის იმედიც გვაქვსო.

18/XI 90

ვზივარ და ჟურნალ „ღიმილის“ გეგმებს ვაწყობ.

სატირიკოს-იუმორისტთა ასოციაციამ მთხოვა ვუწინამძღვრო ამ ჟურნალს. იგი ორ თვეში ერთხელ გამოვა და იქნება სოლიდური ლიტერატურული ჟურნალი.

დავურეკე ფანჯიკიძეს, წივწივაძეს და პეტრიაშვილს — დამპირდნენ მასალებს მოგიტანთო.

საქმე მაკლდა?

მაგრამ ახალი სალიტერატურო ჟურნალი ურიგო საქმე არ არის.

წესიერმა კაცმა, კარგმა მწერალმა ვალერიან მამუკელაშვილმა შემაბა „ღიმილის“ რედაქტორობის ეჟვანი.

19/XI 90

ამირან კალაძე შემხვდა დღეს მწერალთა კავშირში.

ამირანი დეპუტატია. ახალ ხელისუფლებას წარმოადგენს.

ავტონომიები დროულად უნდა გაუქმდეს, ასე გადაეცი-მეთქი ზვიადს.

ოსეთს გავაუქმებთ, მაგრამ აფხაზეთს და აჭარას ვერაო.

რატომ-მეთქი?

ვერ მომცა დასაბუთებული პასუხი.

ვიცი მტკივნეული იქნება, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ავტონომიები საქართველოს მუცელში ჩადებული ის შენელებული მოქმედების ბომბებია, ბოლშევიკებმა რომ გვიანდერძეს და ადრე თუ გვიან ამოქმედდებიან, თუმცა, როგორც პროფ. გივი ჟორდანიამ მითხრა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიები ნოე ჟორდანიას შეუქმნია 1919 წელს.

20, 21,22/XI 90

21-ში მცხეთაში, ქსანში მქონდა შეხვედრა.

ვუპასუხე შეკითხვებს: რა გველის, რა გადაარჩენს საქართველოს.

დღეს (22) გაზეთებში „ახალ საქართველოსა“ და „თბილისში“ გამოქვეყნებულია საზოგადოება „თვისტომის“ მიმართვა ქართველი ერისადმი.

ცოტა არ იყოს, ხმამაღლაა დაწერილი, მაგრამ, ჩემი ფიქრით, საჭირო მიმართვაა.

რა ვქნა, მე ჩემი გზა მაქვს.

დღეს სესია გაიხსნა.

თემურ ქორიძემ თავისი კომისიის სახელით გივი გუმბარიძისა და გურამ ენუქიძის პასუხგებაში მიცემა მოითხოვა.

ამას მოჰყვა გუმბარიძის სასოწარკვეთილი გამოსვლა. ზვიად გამსახურდიამ გუმბარიძეს მიკროფონი გამოურთო.

კომუნისტები რისი ღირსიც არიან იმას იხვეჭენ, მაგრამ როგორ შეიძლება, უკვე მეორე სესიაზევე რეპრესიებსა და კონფრონტაციისკენ მოწოდება.

ქორიძემ იქვე თქვა, ქართული ხელოვნება ამ 70 წლის მანძილზე ქართული სულის წინააღმდეგი იყოო.

ვინ — გალაკტიონი, გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი, შ. ნიშნიანიძე, ანა კალანდაძე, ქართული სულის წინააღმდეგ მუშაობდნენ?

23/XI 90

სატირიკოს-იუმორისტთა ასოციაციამ ერთხმად ამირჩია ჟურნალ „ღიმილის“ რედაქტორად.

მაშ ასე, დაარსდა ჟურნალი, რომელსაც ჰყავს რედაქტორი, მაგრამ არა აქვს ხელფასი რედაქტორს (ეგ არაფერი), ჟურნალს არა აქვს ბინა, არ ჰყავს თანამშრომლები, არ აქვს ქაღალდი, არ აქვს სტამბა: ყველაფერი მე უნდა ვიშოვო.

24/XI 90

შაბათია.

ჩავრთე ტელევიზორი. ჩემს ფილმს „მსაჯს“ უჩვენებდნენ.

1981 წელს გადაიღო გენო ჩირაძემ.

გული ამერია, რომ ვუყურებდი.

ჩემი თავი საოცრად უნიჭო მწერლად მომეჩვენა.

კიდევ კარგი, არც ერთი სიტყვა არ არის შიგ ჩემი. მარტო სიუჟეტია აღებული.

იცოდეს ეს შთამომავლობამ.

25/XI 90

კავთისხევში, ვაჟა ხოკერაშვილის ბინაში სტუმრად მიმიწვიეს.

კარგი ქართული ოჯახია.

დამხვდნენ კავთისხევის ხელმძღვანელები, ადგილობრივი ინტელიგენცია, ფორმალებიც და არაფორმალებიც.

ვილაპარაკეთ საქართველოს პრობლემებზე.

26/XI 90

კალმიკიიდან ჩამოვიდა გიორგი ცხადაძე.

ოთხი შვილის მამა ვარო. თავის დროზე ახმეტაში მიწა არ მომცეს და კალმიკიაში წავედიო.

წაუკითხავს „თვისტომის“ შესახებ და საქართველოში დაბრუნება გადაუწყვეტია.

ვესაუბრე დიდხანს.

დავუწერე შუამდგომლობა დმანისის რაიკომის მდივან ომარ ელოშვილთან.

გახარებული, ფრთაშესხმული წავიდა.

27,28,29/XI 90

უამრავი ხალხი მოდის „თვისტომში“.

მოვიდა თელავიდან შეფიცულთა რაზმის წევრი — ვასილ კიკნაძე. გადავწყვიტეთ თელავში შევქმნათო „თვისტომის“ რეგიონალური ორგანიზაცია. ჩვენ მიგვაჩნია, „თვისტომი“ დღეს ერთ-ერთი ეროვნული სასარგებლო საზოგადოებაა.

მადლობა მოვახსენე.

დღეს, 29—ში გალაკტიონის სემინარზე მოვიწვიე ორი ბულგარელი მწერალი ვესელა (პოეტი ქალი, პროფესორი) და ივანე ბიწაძე. ივანე ბიწაძე ქაქუცას რაზმის წევრის შვილია. მოხუცია.

შეხვედრამ დიდებულად ჩაიარა.

დღეს გაზეთებში შემაძრწუნებელი ცნობაა — აფხაზეთში აფსუა ყაჩაღებმა შეურაცხყვეს კათალიკოსი ილია II.

რა საშინელებაა.

ნუთუ ყველაფერი უნდა მოვითმინოთ.

როგორ მოიქცეოდა ასეთ შემთხვევაში XII საუკუნის საქართველო — ნამდვილი საქართველო.

30/XI — 1,2/XII 90

მწერალთა კავშირში მივედი და ორი საათი ვიყეფე; ნუთუ აფსუა ყაჩაღებს ესეც უნდა ვაპატიოთ-მეთქი.

მოვიდა ლევან ხაინდრავა (70 წლის, ავადმყოფი კაცი), ისიც ჩემსავით გადარეულია.

სხვა რომ ვერა გავაწყეთ, მუხრანის კაბინეტიდან ტელეფაქსით „ამერიკის ხმის“ და „ბიბისის“ კორესპონდენტებს მოსკოვში გადავეცით ეს შემზარავი ინფორმაცია.

საღამოს მორის ფოცხიშვილს დავურეკე; რა ვქნათ, ზვიადი ამ ფაქტზე რატომ სდუმს-მეთქი.

რასაც მოიფიქრებთ, მეც თქვენთან ვარ, ჩემი გვარიც მოაწერეთო, მორისმა.

რა უნდა ჰქნას მორისმა. თანაგრძნობის და აღშფოთების მეტი რა შეუძლია.

ქალაქში დიდი შიმშილობა იწყება.

ხალხი კვლავ აღრენილია. იგრძნობა გულის გატეხვის დასაწყისი დამოუკიდებლობის მიმართ.

დამირეკა ხონელმა ჟურნალისტმა მადონა ჩხეტიანმა. თუ შეიძლება, ინტერვიუ უნდა ჩამოგართვათო.

3,4/XII 90

ოპერის ბაღში ჯაბა იოსელიანის მაშველმა რაზმმა შიმშილობა გამოაცხადა.

მივედი. ზღვა ხალხი ირევა. 4 საათზე მიტინგი დაიწყო. გამოვიდა ირაკლი წერეთელი, სოფელ მუხრანის წარმომადგენელი, მიტროპოლიტი დავითი (ცხუმ-იმერეთის)...

ირაკლი ამბობს, ზვიადი სამ დღეში დიქტატორად იქცაო. ნახეთ, რა ამპარტავნულად უჭირავს თავიო, ნახეთ, თუ შეასრულა 1% მაინც ის, რასაც ოპოზიციაში ყოფნის დროს მოითხოვდაო. „გარდამავალი ეტაპი“, დუმილი აფხაზეთის და ოსეთის მიმართ, კადრების დაწიოკება, ცილისწამებანი კონგრესისა და მაშველთა რაზმეულის მიმართ, სსრკ კონსტიტუციის მოქმედების არ შეჩერება საქართველოში, შელამაზება-მოდელირება ამ კონსტიტუციის, ქორიძის პარპაში, უზურპაცია საინფორმაციო ორგანოებისა, რომლებიც მთლიანად მის კონტროლს დაუქვემდებარა, არაკომპეტენტური პირების დანიშვნა მინისტრებად, უარის თქმა კონგრესმენების ხაინდრავას და (გვარი ვერ გავიგონე) მიღებაზე. ყოველივე ეს აუტანელს ხდის ზვიადის პარპაშს და უნდა გადადგესო.

იგივე თქვეს სხვა ორატორებმაც. მეუფე დავითმა შერიგება მოითხოვა.

ცუდ ხასიათზე ვარ. ნუთუ გადააყენებენ ზვიადს?

ხალხი ამბობდა, თუ შიმშილობამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ზვიადი უნდა გადადგესო.

რა ბზიკმა გვიკბინა.

ნუთუ ძალუმად ამოქმედდება "უჩემოდ ვინ იმღერეთას" ქართული სინდრომი, იქნებ ზვიადიმაც ზოგი რამ დათმოს, დაუყვავოს ოპოზიციას. განა გუშინ ჭანტურია-წერეთელი-ბაქრაძე-ნათაძის გვერდით არ იბრძოდა?

4/XII 90

დღეს „ახალი საქართველოს“ ახალ რედაქტორს მამუკა ფაჩუაშვილს მივუტანე წერილი „ღია წერილი ფაზილ ისკანდერს“. ვნახოთ, დაუბეჭდავს თუ არა.

ვესაუბრე კარგა ხანს. ზვიადი ზოგ რამეში ცდება და უნდა მიანიშნო-მეთქი. არ შეიძლება დიქტატორობა და ამპარტავნობა-მეთქი.

საღამოს ჟურნალისტთა კავშირში შ.ს. მინისტრს დილარ ხაბულიანს მიღება ჰქონდა. ზრდილობიანი ბიჭი ჩანს. ვნახოთ, თუ არ გაფუჭდა.

მწერალთა კაშვირში ამირან კალაძე შემხვდა. ისე საზიზღრად იქცევა ქორიძე, ლამის თავი გავანებო დეპუტატობასო.

შეთანხმებულივით იგივე გამიმეორა ირინე ტალიაშვილმაც. ირინე კარგი გოგოა.

„ახალ საქართველოში“ ინფორმაციაა „ღიმილის“ რედაქტორად ჩემი არჩევის შესახებ.

5/XII 90

ირაკლი წერეთლის გამოსვლა მოვისმინე ოპერის ბაღში.

არგუმენტირებულად, ძირითადად სწორად გააკრიტიკა უზენაესი საბჭო.

ბოლო ფრაზა არ მომეწონა: თუ ჩვენს ულტიმატუმს არ შეასრულებს, ზვიადი უნდა გადადგესო, გამოაცხადა.

ისევ ულტიმატუმი.

თამაზ წივწივაძეს დავურეკე. როგორაა საქმეები-მეთქი?

ვთხოვე, მომცეს რაიმე „ღიმილისთვის“.

საღამოს მიხეილ ქვლივიძემ დამირეკა „ღიმილისთვის“ ლექსები შეგირჩიეო.

6-13/XII 90

ისეთი დაძაბული დღეები მქონდა, მაგიდასთან ვერ მივედი და ჩემს დღიურებს სტრიქონი ვერ მივუმატე.

11 დეკემბერს „ახალგაზრდა ივერიელში“ დაბეჭდილია ჩემი „ღია წერილი ფაზილ ისკანდერს“.

ვათარგმნინებ და გავგზავნი „პრავდაში“, მაგრამ ვინ დაბეჭდავს.

11 დეკემბერს ზვიად გამსახურდიამ უზენაესი საბჭოს სხდომაზე წაიკითხა ბრწყინვალე მოხსენება და მერე სესიამ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის“ გაუქმების შესახებ“.

უბედნიერესი კაცი ვარ. პირველმა ამ დადგენილების მიღების მეორე დღესვე, 12 დეკემბერს მე დავუჭირე მხარი ზვიადს ტელევიზიით.

ძლივს ვნახე ვაჟკაცური საქართველო.

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?“ 12 დეკემბერს ვიღაც ოსმა გარეწარმა 3 კაცი მოგვიკლა ქუჩაში ცხინვალში და 3 დაგვიჭრა.

ცხინვალსა და ჯავაში კომენდანტის საათია.

13 დეკემბერს „საქართველოს რესპუბლიკაში“ დავბეჭდე „თვისტომის“ გამოხმაურება.

როგორმე, როგორმე პრაქტიკულად გავატაროთ ეს დადგენილება.

გარეწარმა ბოლშევიკებმა რა საშინელი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს? რა საჭიროა სამი ავტონომია ერთი ციცქნა საქართველოში.

13, 14, 15/XII 90

„ვრემიაში“ ორჯერ გამოაცხადა მოსკოვმა, რომ საქართველოს გადაწყვეტილება ოსეთის ავტონომიის გაუქმებაზე უკანონოა და მოვუწოდებთ საქ. უზენაეს საბჭოს თვითონვე გაასწოროს შეცდომაო.

საკვირველია, ჩრდილოეთ ოსეთი შედის რსფსრ-ში, სამხრეთ ოსეთი კი ცალკე რესპუბლიკად უნდა გავიდეს და დამპყრობელმა საქართველოს მიწა უნდა წაიღოს?

რა გვეშველება? ეს თუ დავთმეთ, ახლა თუ დავმარცხდით, თავზე დაგვასხდებიან მტრები.

მზად ვარ ავტომატით ხელში ვიომო უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. უნივერსიტეტის სტუდენტებს მოვწუოდე, თუ არაფერი გამოვიდა, შეექმნათ მოხალისეთა რაზმი, მე გაგიძღვებით და წავიდეთ-მეთქი.

თითქოს ყველა დამეთანხმა, საქმე საქმეზე რომ მიდგება?

არის საერთოდ ქართველი კაცი მებრძოლი?

დავამთავრე ორი ნოველა, ერთს ჰქვია „დამცემი“, მეორეს „ჭკირჭკიტია“.

დამცემი რუსის ჯარზე და მის ზნეობრივ გახრწნილებაზეა, ჭკირჭკიტია „ძმათა ჭამის“ ქართულ თვისებაზე.

16,17/XII 90

ოსეთში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა.

გამოვიდა ზვიადი ტელევიზიით, დაბნეული ჩანდა.

გამოვიდნენ ნათაძე და ჯაბა იოსელიანი. ზვიადს აკრიტიკებენ. არ მომწონს ეს ამბავი.

ზვიადი უძალაუფლებო კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს.

18/XII 90

დღეს აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო ჩავატარეთ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ეგიდით.

შესავალი სიტყვა ვთქვი.

სიტყვებით გამოვიდნენ სოლ. ხუციშვილი, ნ. ტაბიძე, მ. ქვლივიძე, მსახიობები გიზო სიხარულიძე, თინა ელბაქიძე, მომღერალი მედეა ძიძიგური და რაც მთავარია თამარ იშხნელი, რომელსაც ცოცხალ აკაკისთან უმღერია.

19,20,21/XII 90

20-ში უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე მოხსენებით გამოვედი — აკაკი წერეთელი და თანამედროვეობა.

ყველაფერი ვთქვი, რისთვის არის საჭირო აკაკი ჩვენი თანამედროვეებისათვის.

ირინე ტალიაშვილმა დამირეკა, წავიკითხეთ „კაბადონში“ თქვენი ინტერვიუ: ზვიადს არ ესიამოვნაო.

ქალის პირობაზე ცოტა მკვახედ ველაპარაკე. როდიდან გახდით შენ და ზვიადი ჩემი აღმზრდელები-მეთქი.

რაც არ მომწონს, არ მომწონს და არც ვფარავ, რაც მომწონს, თქვენს გვერდით ვარ-მეთქი.

მოსკოვში შევარდნაძემ გადადგომა გამოაცხადა.

მთელი დეპუტატთა ყრილობა (გორბაჩოვიანად) მუხლებზე დაეცა: ნუ მიგვატოვებო.

22,23/XII 90

ვასწორებ „ღიმილის“ მასალებს.

მომიტანეს რაღაც უნიჭობანი და „თურმე“ ახლა მე უნდა ვიტირო, როგორც დიდი თავის პატრონმა.

ქაღალდი, სტამბა, კაბინეტი ყველაფერი მე უნდა ვიშოვო.

23-ში საღამოს ირაკლი აბაშიძემ დამირეკა;

ეს რა ბრწყინვალე ნოველა დაგიწერია ჩემზე, მადლობელი ვარ, ასე თუ გიყვარდი, არ მეგონაო.

„განაჩენში“ მაქვს ნოველა ირაკლიზე „ვინძლო, არ ინანოთ“. სულ აღარ მახსოვდა.

ღამით ვიღაც გარეწარმა დამირეკა: შენს შვილს — აჩიკოს მოსაკლავად დასდევენ და გაფრთხილდიო.

რატომ? რა დავაშავეთ-მეთქი. დაკიდა ყურმილი.

24, 25/XII 90

25-ში მცხეთაში მიმიწვიეს ნატახტარის საშუალო სკოლაში საშობაო დღესასწაულზე.

ჩემს სიცოცხლეში პირველად გახლდით საშობაოდ (არაკომუნისტურ) დღესასწაულზე საქართველოში.

რა მშვენიერია. პირველი საშობაო მეჯლისი.

ბავშვებს ლენინის სურათების ნაცვლად ჯვრები ეჭირათ და ლოცვებს წარმოსთქვამდნენ.

სხვა საქართველოში ვცხოვრობთ.

26,27,28,29/XII 90

იწურება 1990.

ბევრი ვიბრძოლეთ, ბევრი ვიჯანჯღარეთ, ბევრი ვითავცემეთ, დიდი ნახტომი გააკეთა საქართველომ ისტორიაში, ტარიელის სიტყვით რომ ვთქვათ, „გრძელი როქი“, დავამხვეთ კომუნისტების ტირანია, მაგრამ დამოუკიდებლობას მაინც ვერ ველირსეთ და ამ საუკუნეში, ალბათ, ვერც ველირსებით.

რუსის ჯარის გაყვანაზე ფიქრიც არ შეიძლება ამ ეტაპზე.

შევარდნაძე გამოაგდეს კრემლიდან.

უმადურად, უმადლობოდ. ნეტავ სხვას რას ელოდა; ერთგულად რომ ემსახურებოდა იმპერიას და ჩემს თხოვნაზე: ოსეთ-აფხაზეთ-აჭარის ავტონომიები გააუქმებინეთ-მეთქი, თვალები რომ გადმოკარკლა — ოსები და აფსუები ჩვენი ძმები არიანო, როგორ მოგვიდათ თავში ავტონომიების გაუქმებაო.

28 დეკემბერს ოსი მკვლელი ფუხაევი დააპატიმრეს ჩვენებმა ოსეთში, შეიარაღებულმა ოსებმა ქართულ მილიციას ალყა შემოარტყეს და მძევლად აიყვანეს 14 მილიციელი. შეშინდა კვანტალიანი. გამოაშვებინა ოსი მკვლელი და 14 მძევალიც გაათავისუფლეს ოსებმა.

აი, ასე „ვფლობთ“ ძალაუფლებას ოსეთში.

ასეთ „დახმარებას“ გვიწევს რუსის ჯარი.

ჩემი კათედრის წევრებმა ლორიამ და ნიშნიანიძემ დისერტაციები დაიცვეს.

ორივე ნიჭიერი, მცოდნე ახალგაზრდაა.

30,31/XII 90

მთელი ორი დღეა რადიო-ტელევიზიაში ცეკვა-თამაშია.

რა გვეცეკვებ-გვემღერება?

ვინ მისცა ტელევიზიას მითითება — ხალხი ამ საახალწლოდ კარგ ხასიათზე დააყენეთო?

ოსები მილიციელებს (ქართველებს) მძევლად იტოვებენ, აფსუები დედას გვაგინებენ, 31-ში მაღაზიებში პურიც კი არ იშოვებოდა, ხალხი მაწვნის, კარაქის და გაყინული ხორცის რიგში ერთმანეთს ხოცავს და ტელევიზიაში დილიდან საღამომდე რომ ცეკვა-თამაშია, ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს „იმოქმედებს“ ხალხის განწყობილებაზე?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნიკოლოზ კურტანიძე

საახალწლო

დამთავრდა კიდევ ერთი გარბენა,
მადლობა ღმერთს რომ არ ვარ
ფინიშზე,
დაბლა მიღიმის ვარდი და ია
თავზე დამცქერის ისევ დიდი მზე.

საზრდოს მაწოდებს მუხის ფესვები
მუხის ტოტობა სად შემიძლია?!
მუხის პატარა კენწერო ვიყო,
რომელსაც მართლა პატარა ჰქვია.

სტარტი ავიღო ვარსკვლავებისკენ
ვიყო სიკეთის მხოლოდ მნახველი,
ლექსების წერას რაც მაბედვინებს
სამშობლო არის მისი სახელი.

სული თუ არ მღერის

ლექსი არ იწერება –
სული თუ არ მღერის,
რა დროს ლექსის წერაა
მეღუპება ერი!

რა ცხოვრება მოვიდა
ჩამობნელდა ირგვლივ,
ვინც მიყვარდა სულ ყველა
საზღვარგარეთ მირბის.

დაიცალა სოფელი,
ქალაქებიც იცლება,
ეთნიკური ქართველები
სხვა ერებით იცვლება.

ყურში როგორც ეკლები
ისე მხვდება სიტყვები.
ასე ყურდაჩხვლეტილი
მეც ქუჩის პირს მივყვები.

ქალაქიდან სოფლამდე
მივაღწიო ეგება,
იქ მოყვასი შემხვდება –
გულს მალამოდ მედება.

მივაღწიე სოფელს და
სანთლით ვეძებ ბიძაშვილს
ვერავის ვერ ვნახულობ
არც არავინ მიძახის.

ყველა წასულ–წამოსულა,
ირგვლივ არის სიჩუმე,
თვალში ცრემლი მიდგება
და საქვეყნოდ ვჩურჩულებ:

რაღად მინდა ვენახი,
თუ არავინ არ გასხლავს
რაღად მინდა საბოსტნე,
თუ არავინ არ ბარავს.

რაღად მინდა საყანე,
თუ არავინ არ დახნავს
რაღად მინდა მიწა, თუ
ირგვლივ გატიალდება,
ბედისწერა ერისა, თუ
არ დატრიალდება.

ღმერთო, შენ გამაგონე
ჩემს ეზოში ქართული
ღმერთო, არ დაავიწყო
ჩემს მომავალს წარსული,
ისევ უკან მოაბრუნე
გაიხაროს მდელომ,
მოგვეხმარე, გაბრწყინდეს,
სრულად საქართველო!

დავიწყებული არ მყავხარ

დავიწყებული არ მყავხარ,
იცოდე, ჩემო ნათლულო!
როცა შენ გესაუბრები,
მგონია ღმერთთან ვსაუბრობ.

მე მინდა ძალიან კარგი,
რომ გახდე მოქალაქე,
ქვეყნის ტკივილი გტკიოდეს
ბრძოლაში არ დამარცხდე.

ჩაგრული წამოაყენო,
შიშველს მოასხა ჯუბა.
ვიცი ღმერთს ეამაყება,
მოწყალე კაცი უყვარს.

გისურვებ იყო ჯანმრთელი,
ავადმყოფს მისცე წამალი,
სიბრძნე დაწერო, აფრქვიო,
ტყუილად არ მოცდეს კალამი.

გახსოვდეს ამ ქვეყანაზე,
სიცოცხლე უნდა დატოვო.
მეუღლე უნდა შეირთო,
არასდროს არ მიატოვო.

ცრუც შეგხვდება და მართალიც,
ორთავე ღმერთის შვილია.
ორთავეს უნდა სიცოცხლე,
ორთავ ერთი გზით მიდიან.

სიბრძნე ის არის იმათგან
გამოარჩიო მართალი.
ცრუს ჩააგონო სიმართლე,
ისიც გახადო მართალი.

კვლავ სწავლა უნდა განაგრძო,
არ შგაშინოს ასაკმა.
სანამდე არ მიადგები
ამ წუთისოფლის გზასაყარს.

დავიწყებული არ მყავხარ,
იცოდე ჩემო ნათლულო!
როცა შენ გესაუბრები
მგონია ღმერთთან ვსაუბრობ.

ქართველის ფიქრი

თბილისში, თბილისელი ვარ,
ქუთაისია ღვთაება...
ეჰ! საქართველო ვინ გაჰყო,
მას ყველა ეთაყვანება.

ყველას თავისად მოუჩანს,
მომხვდურია, თუ დამხვდური,
ეკუთვნის, თუ არ ეკუთვნის
პური და ღვინო ქართული...

მტრის მტრობა მე რას დამაკლებს,
ბრძოლაში გამეცინება,
ოღონდ სამშობლოს სიყვარულს
ნურავინ შემეცილება.

ყველას, ყველას ვენაცვალე!

ქართლ–კახეთი, იმერეთი,
გურია და აჭარა,
ვიხილე და ჩემი გული,
სიყვარულით დამწვარა.

სამეგრელო, აფხაზეთი,
ლეჩხუმი და რაჭა,
ისეთი ლამაზებია,
ზედ თვალები დამრჩა.

იმედი მაქვს სვანურ კოშკის
ფშავ–ხევსურთა ხევების,
მობიბინე ფერდობების,
ძნელი მოსახვევების.

ვდარდობ, სამცხე–საჯავახოს,
მესხეთს, საინგილოს,
დროა ავტეხოთ განგაში,
ბუკმა დაიყვიროს.

ტაო, კლარჯეთი, შავშეთი
ართვინი და ბორჩხა...
ვაი, ჩვენდა სავალალოდ
საზღვარგარეთ მოსჩანს.

ყველას, ყველას ვენაცვალე
ბარიანს და მთიანს,
რასაც ერთად შინ და გარეთ
საქართველო ჰქვია.

***

გავხდით "კორიდორი,"
გავხდით გზა-შარა,
აღმოსავლეთის და დასავლეთის,
დავდგით მონიტორი

და ვიზამთ, რას არა...
ინგლისურს სწავლობს
მგლის ლეკვი - ალგეთის....
შარვალი არა, წინდები არა,

ავეჯი არა,
რა შეგვრჩა ქართველის?!
მპასუხობს ვიღაცა:
"ხორცი, ბატონო!.."

გიშველოს ღმერთმა!
მართლა თუ ეგრეა
და იმ ხორცს ქართული
სული პატრონობს.

გამიასდი და გამიათასდი

რადგან წმინდანის მერგო სახელი,
თითქოს ოლიმპზე მიწვევს ღვთაება,
მე აქ სიცოცხლის რომ ვარ მნახველი
აღარსად აღარ მიმეჩქარება.

ყველა გასაჭირს უნდა გავუძლო!
შენ დამეხმარე, სვეტო ნათელო!
სადღა მოვნახო კიდევ საუფლო
სახლად გავხადე მე საქართველო.

სადაც კი მიწას ხელი დავადე
ყველგან სიცოცხლის ძარღვი გაება,
მე აქ, ოლიმპი თვითონ ავაგე,
აქ მოვიწვიე, თვითონ ღვთაება.

რომ დამილოცოს კერა და ჭერი,
ერთი კი არა, ასი, ათასი,
ჩემო გოგონა! ჩემო ბიჭუნა!
გამიასდი და გამიათასდი.

მე და ხალხი

ამ ქალაქში არის ხალხი,
ხალხი არის მილეთის
არის ცუდიც, არის კარგიც
ასეთიც და ისეთიც.

ზოგს ვიცნობ და ზოგი მიცნობს
ზოგმა ფერი იცვალა,
ფერი რაა ან სამოსი
კანიც გამოიცვალა.

სავარძლიდან სავარძელში,
როგორც რწყილი ხტუნაობს
თან ამაყობს: „შემომხედეთ
სკუპი როგორ უნდაო."

ეს კი არის საქმეს კვალი
არასოდეს აჩნია
კმაყოფილი იმით არი
რომ იტყვიან „კაცია"

ზოგი შორს დგას, ასე რომ ვთქვათ
მე არაფერს მიფუჭებს,
მაგრამ მისი არსებობა
მაინც არის სიცუდე.

ზოგი კიდევ მე პირადად
არაფერს არ მიკეთებს,
მაგრამ მისი არსებობა
მაინც არის სიკეთე.

ზოგიერთი დიდ სიკეთეს
იმდენ მწარეს დააჭრის.
აბათილებს მწარე ტკბილს და
გემო არ აქვს არაფრის.

მტრად არასდროს არავის ვთვლი
-თავისუფლად ვმღერივარ,
რადგან ვიცი მტერი თუ მყავს
მე თვითონაც მტერი ვარ.

მოხუცი მათხოვარი

... დარჩა ის გაოცებად,
ვით ბავშვობის ზღაპარი -
დარჩენილი სიცოცხლის
ანთებული ლამპარი.

მარტოხელა მოხუცის
ღმერთთან გაბაასება,
წავა, დრო არ მოუცდის...
ირინდება არსება:

"ო! დრო რა ნელა გადის...
ო! რა დიდი კაცია,..
ო! რა სიცოცხლე არის,..
ო! რა კარგად აცვია..."

და... კანკალებს მოხუცის
გაშვერილი ხელები,
თვალზე ცრემლი მოუდის -
"ო! რა მალე ვბერდები..."

ფიქრი, ცრემლი, ოცნება
არეულა ტალახში,
გავიარე მეორედ,
იქ მოხუცი აღარ ზის.

ცხოვრების ერთი წამი

„წუთია წუთი წუთის ქვეყანა წუთის წუთობით
იწვება ზოგი ლხინსაა თამაშსა, ზოგიც უცეცხლოდ იწვება“

ადამიანს დაბადებიდან ბედი-იღბალი უნდა დაჰყვეს. ამ გაუსაძლის და უსიყვარულობით სავსე სამყაროში უიღბლო კაცის ცხოვრება დიდი ტვირთია.

ნათქვამია, ადამიანთა ბედ-იღბალი რაც არ უნდა განსხვავებული იყოს, ბედნიერება და უბედურება მაინც ათანაბრებს მათ. განწირული სულისკვეთების, გმირობის,

სულიერი ტანჯვის და აღზევების მთავრი ინსპირატორიც ბედია. ბედი, რომელიც მუდამ თან გვდევს და ბედისწერის მოულოდნელობებით სავსე გზაჯვარედინებზე ისე გვაწრთობს, კლდესავით უდრეკს, ,,უხორცოცავით უშიშსს'' და ხშირად უსუსურსაც ხდის ადამიანს.

„ბედი მომეცი და სანაგვეზე გადამაგდეო“. ე.ი ყველაფრის განმსაზღვრელი ბედი ყოფილა. ჩვენს ირგვლივ არიან ადამიანები, ვისთვისაც ეს წუთისოფელი ,,მამაც არის და მამინაცვალიც“ უფრო ხშირად კი - ქარიშხალივით თავსდამტყდარი ბედისწერა, რომელსაც თუ შეუშინდები ,,ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“.

როდესაც ბატონი პავლე აზარაშვილის წიგნი „ბედის ტრიალი“ წავიკითხე, ყურში მედროგე პავლეს ცნობილი სიმღერა ჩამესმა: „ბედის ბორბალი ტრიალებს“. გიორგი შენგელაიას გენიალური კინოშედევრი, ადამიანური ყოფის გამომხატველი დრამატული კადრები ცხადყოფს, რომ ბედისწერა მოულოდნელობებით სავსე სანაპიროა.

ამ გაწვალებულ წუთისოფელში, რამდენი ვაება და ტკივილია, რამდენი განცდაა. რეალობა კი ტრაგედიისა და დრამის სინთეზია.

ერთი ადამიანის ირგვლივ უზარმაზარი დოლაბი დატრიალდა: დაჭერა, გადასახლება, დაკითხვა, პატიმრის სტატუსი, ათასგვარ ადამიანებთან შეხვედრა, კითხვა, პასუხი, სიჩუმე... ხშირ შემთხვევაში კი კითხვები ჯობია პასუხებს, დუმული ოქროა... მოთმენა კი უდიდესი გამძლეობა და ერში ასკეტური ყოფის ტოლფასი... ეს კი ბედისგან ცხადად და ფარულად მონიჭებული მისიაა, რომელსაც თუ შეძლებ და გაიტან ჯვარივით უნდა ატარო მთელი ცხოვრება.

ათასგვარი ბრალდება, ცხოვრების ათი წელი გაუსაძლისი ტკივილების, სულიერი და ფიზიკური ბრძოლის ათასი კითხვის ნიშანი, პასუხი მაინც გაუცემელია. ერთადერთი სიტყვა - რისთვის? ყოველივე უსაფუძვლოა და სიტყვა - ,,რისთვის'' რექვიემივით მეორდება მთელი ცხოვრების მანძილზე.

„გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“, მაგრამ სად, ვისთან, როდის, როგორ? როდესაც ათი წელი კონტროლი, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მორალური, ფიქრები - მრავალი და გაუთავებელი პატიმრობაში კი დრო გრძელდება... თითქოსა გეჩვენება, რომ ტუსაღობა ნელი ნაბიჯებით მიდის წინ - მიიზლაზნება.

მემუარებში ჩანს მთელი ცხოვრება, თავისი სიგრძე სიგანით, ყველა დეტალი სიცხადთაა გამოხატული.

უფალმა დედამიწელებს გამოცდა დაუდგინა. გააჩნია ვინ როგორ ჩააბარებს მას.

ბატონმა პავლემ გამოცდა ნამდვილად ჩააბარა ღვთის, მოქალაქეობის, საზოგადოების წინაშე. ათასგვარ, მეხთატეხას გაუძლო.

მართლაცდა წისქვილის დოლაბი დატრიალდა მის თავზე, ოღონდ ცხოვრების ჭიდილთან შერკინებული დოლაბი.

მთელი ცხოვრება - სიმართლის ძებნა, „მე უდანაშაულო ვარ“. რა არ ნახა, ვის არ შეხვდა, რა არ გადახდა თავს. დიახ, ათი წელი სიკვდილ-სიცოცხლესთან შეხვედრისა და თუნდაც განშორებისა, ეს ყოველივე მეორდება მრავალჯერ.

მრავალჯერ დაუგეს მახე, დიდხანს იარა ბეწვის ხიდზე, ბევრი კაცის ბრძანება შეასრულა, უხმოდ თავაუღებლივ იშრომა, იღვაწა. პატიმრობაში უფრო ძალუმად ჩანს ხოლმე ადამიანის შრომა, ერთმა „უსაფუძვლო დანაშაულმა“ ბევრი რამ დაანახა, ყოველივე გამოაცდევინა, ბევრ რამეში ჩაახედა.

მისთვის სამყარო არაერთხელ შეიცვალა. გაჭირვებამ, გისოსებმა ბევრი რამ ასწავლა, მოანატრა. კაცი ფიქრთა იდუმალებაში ჩაერთო, ყველაფერი შესწირა საკუთარ ღირსებას, ჯანმრთელობაც კი, რომელიც ყველაზე ძვირფასია და რომელსაც ფულით ვერ იყიდი - თითქოსდა ყველაფერი დაკარგა, მაგრამ სადღაც შორიდან, მაგადანის რომელიღაც პოლუსიდან ხმა იმედისა, ხმა ბრძოლისა და თავდადებისა.

როგორმე ყველაფერს გაუძლოს, აიტანოს, რეალობის შეგრძნებამ მიახვედროს, გაარჩევინოს კეთილი და უკეთური.

დიახ, გაჭირვებამ იცის ნაბიჯების სწორად გადადგმა, რათა შემდეგ სასურველ შედეგს მიაღწიოს კაცმა - რასაც ნანინანატრი თავისუფლება ჰქვია - ვისგან? რისგან თავისუფლება, საკუთარი თავისაგან? ძე კაცისაგან? თავისუფლება „დანაშაულისაგან“ რომელიც არ ყოფილა. - რა მძიმე განცდაა არარსებული დანაშაულის განცდა, რომელსაც სამწუხაროდ ტანჯვა-წამება სდევს თან, იმისთვის, რომ სამზეოს გამოხვიდე - საქართველოს მზე მაინც სხვანაირად ანათებს, იმნაირად, კაცს გულს რომ გაუხარებს და გაათბობს.

და მაინც, ისმის კითხვა:

- რისთვის ჩაებით საიდუმლო ორგანიზაციაში?

უპასუხოდ რჩება.

გადაგარჩინოს მარჯვენამან შენმა. ასე მოხდა პავლე აზარაშვილის ცხოვრებაშიც.

მიწაც ამუშავა, დაზგასთანაც დადგა, ხის მასალაც დაამუშავა, გაჭირვებამ, მწუხარებამ თავისი თავის კონტროლი ასწავლა. სიტყვა, ქმედება მოზომილიც ჰქონდა და აწონილიც, რათა სხვათა თვალში უწესრიგო არ ყოფილიყო. საშუალო ტექნიკური განათლება ზუსტად და სწორად გამოიყენა „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა, თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა“ - უთქვამს პოეტს.

ცხოვრებისაგან ვეება გამოცდილებაც მიიღო, დახუნძლული ოჯახიც შექმნა და მაინც რამ გააძლებინა ამ „უსწორმასწორო წუთისოფელში“ მოთმინებამ, შრომისუნარიანობამ, წინდახედულებამ, შინაგანმა სიძლიერემ.

არსთა გამრიგემ აკურთხა მისი ცხოვრების გვირგვინი.

დანარჩენი მკითხველისათვის მიგვინდია.

ჯემალ გაგელია

ცნობილ ქართველ მწერალს, პროზაიკოსს, სცენარისტს, პუბლიცისტსა და კინორეჟისორს, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატს ბატონ ზაალ ნემსაძეს 65 წელი შეუსრულდა. საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ულოცავენ ღვაწლმოსილ შემოქმედს დაბადების დღეს. დაე, კვლავ არაერთგზის გაეხარებინოს მას ქართველი მკითხველი და მსმენელი თავისი ეროვნული პოზიციით და შთამბეჭდავი შემოქმედებით.

ზაალ ნემსაძე

პირველი ქადაგება

იოანე ნათლისმცემლისგან მონათლული, სულიწმინდით აღვსილი იესო დაბრუნდა იორდანედან და სულმა გაიყვანა უდაბნოში, სადაც მას ორმოცი დღეს სცდიდა ეშმაკი. იესო მარხულობდა და ამ ხნის განმავლობაში არაფერი უჭამია. ეს არ იყო მხოლოდ შიმშილობა. იესო უდაბნოში იმიტომ გავიდა, რომ თავის ზეციურ მამასთან განმარტოებულიყო და ადამიანის სხეულშემოსილი სულიწმინდის ძალით და სიბრძნით გამსჭვალულიყო. ამით უფალმა გვიჩვენა ნამდვილი, ჭეშმარიტი მარხვის მაგალითი.

და აი, დასრულდა მარხვა, იესომ დაძლია ეშმაკის ცდუნებანი და მშობლიურ ნაზარეთში დაბრუნდა, სადაც ბავშვობიდან ყველა იცნობდა.

(ლუკა 4:16-19)

„მივიდა ნაზარეთს, სადაც აღზრდილი იყო. შაბათ დღეს, თავისი ჩვეულებისამებრ, შევიდა სინაგოგაში და დადგა წასაკითხად.

მიაწოდეს მას ესაია წინასწარმეტყველის წიგნი. გაშალა წიგნი და იპოვა ადგილი, სადაც დაწერილი იყო:

„უფლის სულია ჩემზე, ვინაიდან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლებისა და ბრმათათვის თვალის ახელის გამოსაცხადებლად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად, უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად“.

იესოს იცნობდნენ, როგორც კეთილსინდისიერი ხუროს შვილს. დადიოდა ხმები, რომ იოანემ მონათლა, ხალხს სიკეთეს ასწავლიდა, კაპერნაუმში პარალიზებულიც განკურნა. იესო არა მარტო პატივისცემას იმსახურებდა, არამედ ამ ხალხის დიდ ინტერესსაც იწვევდა, ამიტომ მიიწვიეს იგი წმინდა წიგნის წასაკითხად და მიაწოდეს ესაია წინასწარმეტყველის წიგნი. იესომ, რომელიც თავად გახლდათ ავტორი მთელი ღვთიური წერილების, ზეპირად იცოდა ეს წიგნიც, მაგრამ ტრადიცია არ დაარღვია და ესაიას 61-ე თავიდან ორი პუნქტი წაიკითხა. იესომ დაბადებამდე მრავალი ასეული წლის წინათ ესაიამ იწინასწარმეტყველა ამ სიტყვებით იესოს მისია და აჰა, მობრძანდა იგი, რომელზეც უფლის სულია ცხებული გლახაკთა სახარებლად, გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, გასათავისუფლებლად და თვალის ასახელად.

შემდეგ, რა მოხდა შემდეგ? „დახურა წიგნი, გადასცა მსახურს და დაჯდა. სინაგოგაში ყველას თვალი მისკენ იყო მიპყრობილი“ (ლუკა 4:20).

აი, ასე! ყველა განცვიფრებულია. მორჩა? ასე მალე? არასდროს საშაბათო კითხვა ასე მოკლე არ ყოფილა, სრული სიჩუმე, დამსწრენი თითქოს გაიყინნენ. მერე რა მოხდება? რატომ შეწყვიტა კითხვა? რატომ დაჯდა?

იესოს სურდა ირგვლივ მყოფთ გაეაზრათ წაკითხულ-მოსმენილის შინაარსი. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაიწყო: (ლუკა 4:21, 22).

„და დაუწყო ლაპარაკი მათ: „დღეს აღსრულდა ეს წერილი, თქვენ რომ მოისმინეთ“.

ყველამ დაუმოწმა მას და გაოცებულნი იყვნენ მისი პირიდან გამოსული მადლის სიტყვებით და ამბობდნენ: „ეს იოსების ვაჟი არ არის?“

დიახ, იესომ უთხრა მათ, რომ აღსრულდა ის სიტყვები, რომელსაც უთვალავი წელია კითხულობდნენ ისინიც და მათი წინა თაობებიც. თავიდან საზოგადოება დაეთანხმა და თავი დაუქნია, დიახ, დიახ, ჭეშმარიტად ასეა, ამინ, ამინ. მაგრამ უცებ... როგორ? რანაირად? რატომ? ეს ხომ ჩვენი ხუროს შვილია? რას ამბობს? დღეს როგორ შეიძლებოდა ეს წინასწარმეტყველება აღსრულებულიყო? თან გვეუბნება, ისაიამ ეს ჩემზე იწინასწარმეტყველაო. რას ამბობს? წინასწარმეტყველი იესოზე წერდა? ხუროს შვილზე? გაოგნებულნი იყვნენ. იესომ მშვენივრად იცოდა, რა შთაბეჭდილებასაც მოახდენდა მისი თქმული და განაგრძო (ლუკა 4:23-27).

„უთხრა მათ: „თქვენ, უეჭველია, მეტყვით ასეთ ანდაზას: მკურნალო, განიკურნე თავი შენი. აქაც შენს მშობლიურ ქალაქშიც, მოახდინე ის, რაც კაპერნაუმში მოგიხდენია, როგორც გავიგეთ“.

უთხრა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ არც ერთი წინასწარმეტყველი არაა მიღებული თავის სამშობლოში.

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მრავალი ქვრივი იყო ისრაელში ელიას დროს, როდესაც დაიხშო ცა სამ წელიწადსა და ექვს თვეს ისე, რომ დიდი შიმშილობა იყო მთელ ქვეყნიერებაზე.

და არც ერთ მათგანს არ ექნა მივლენილი ელია, გარდა ქვრივი დედაკაცისა სიდონიას სარეფთაში.

კეთროვანიც მრავალი იყო ისრაელში ელისე წინასწარმეტყველის დროს; არც ერთი მათგანი არ განწმენდილა, გარდა ნეემან სირიელისა“.

დღესაც ასეა. შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს. ბევრი პირდაღებული უსმენს უცხოელ მოქალაქეებს, ინდოელ იოგებს და ბუდისტ დამრიგებლებს. ზოგი ცხრა მთას იქეთ მიემგზავრება დალაი ლამას ან რომელიმე შამანთან შესახვედრად და არა სჯერათ, რომ ჭეშმარიტება ხელის გაწვდენაზეა, ჩვეულებრივ, სოფლის მღვდელშია, რომელსაც ყოველდღე ხედავ. „მე მივცემ მწყურვალს უსასყიდლოდ სიცოცხლის წყალს წყაროდან“ (გამოცხ. 21:6).

იქ კი, შორეულ ნაზარეთში, ლუკა მახარობლის (ლუკა 28.28-30) თქმით:

„ეს რომ მოისმინეს სინაგოგაში მყოფთა, ყველანი მძვინვარებით აღივსნენ.

წამოდგნენ და გააძევეს იგი ქალაქიდან, მიიყვანეს მთის სერამდე, რომელზეც მათი ქალაქი იყო დაშენებული, რათა გადაეგდოთ იგი.

მაგრამ მან გაიარა მათ შორის და წავიდა“.

ასე ექცევიან ბრიყვნი და უმეცარნი წმინდა, ღვთის სიტყვის მოქმედს. არა სიყვარულით და მადლიერებით, არამედ მძვინვარებით. შენ ვინ ხარ, რომ ჩვენ გვასწავლო? ჩვენ ვერ ვგებულობთ შინაარსს და შენ ჩვენზე ჭკვიანი და გამჭრიახი ხარ? მოგვშორდი, წადი და შენი სადურგლო საქმეები გააგრძელე, სკამები აკეთე! დაცინვას როდი დასჯერდნენ. იესოს მოკვლისთვის განემზადნენ. მთის სერზე აიყვანეს და უფსკრულში უნდოდათ მისი გადაგდება. ხომ დაუჯერებელია? აი, ასე აცოფებთ ადამიანებს სიმართლე და ჭეშმარიტება. გადახედეთ სოციალურ ქსელს. ცოფიანებით არის სავსე, თითქოს იესოს მეზობელი ნაზარეთლები გაცოცხლებულან. ყველა საკუთარ თავს მიიჩნევს მართლად და კარგ ადამიანად. თავის მოწინააღმდეგედ კი რას არ ჰკადრებს - სექტანტიდან და შარლატანიდან დაწყებული ნარჩევ გინებამდე. კიდევ კარგი, სოციალურ ქსელში, დანით ან ტყვიით ვერ სწვდებიან ერთმანეთს.

სად დაიკარგა ის პატივი და მოწიწება, რითაც ფარისევლებმა მოიწვიეს იესო სინაგოგაში? როგორც კი მათ მოისმინეს წერილის განსხვავებული წაკითხვა, რომელიც ერთადერთ ჭაშმარიტებად ითვლებოდა, აღტაცების მაგივრად, აღშფოთებაში და განრისხებაში მოვიდნენ. სამწუხაროდ დღესაც მცირეა მშვიდი, გამჭრიახი ადამიანების რიცხვი, რომელთაც სხვისი სიმართლე საკუთარ ტყუილს ურჩევნიათ...

ტყუილად კი ეცადნენ იესოს უფსკრულში გადაჩეხვას. მისი დრო აქ ვერ გაჩერდებოდა და არც გაჩერდებოდა არასოდეს. უფალი დაუსაბამოა, როგორც ძე კაცისა, აღესრულა იმ ადამიანთა ხელით, რომელნიც უყვარდა, რომელთაც ასწავლიდა და არიგებდა და ბოლოს და ბოლოს, რომელიც მან შექმნა და გამძვინვარებულ ბრბოსაც იმიტომ გაეცალა, რომ წინ დიდი საქმეები ელოდა ამ ცოდვილ წუთისოფელშიც.

ამიტომ, თავისი მნიშვნელობით იესოს პირველი ქმედება ბრწყინვალე იყო. ლაკონური და მრავლისმთქმელი! მაგრამ ნაზარეთის ტაძრის მსახურები გამოდგნენ უგრძნობნი და ჭკუასუსტები და არ ისურვეს თავიანთი სიბრიყვით გულის გახსნა და პატივის მიგება უფლისადმი.

ჩვენ კი, იესოს მიმდევარნი, მონანი მისნი, ამ ქადაგების საშუალებით ვიგებთ, რატომ მოვიდა იესო ქრისტე დედამიწაზე: „უფლის სულია ჩემზე, ვინაიდან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების და ბრმათათვის თვალის ახელის გამოსაცხადებლად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად“.

ისტორიის, დღევანდელობისა და მომავლის ინოვაციური ხედვა

Homo sapiens-ის თანდაყოლილი ჩვევაა წარსულის, თანამედროვეობისა და მომავლის წარმოჩენა ადამიანის ინტერესებისა და ცხოვრების ხარისხის თვალთახედვით. სწორედ ამ ჭრილშია განხილული კაცობრიობის ისტორია, ახლანდელობა და პერსპექტივა გიორგი მალაშხიას ახალ ვრცელ, 886 გვერდიან ნაშრომში ,,კაპიტალიზმისა და სოციალიზმის სიძულვილი, გლობალური მეტამორფოზები და კაცობრიობის მომავალი, ჰუმანოიზმი.“ ,,Harted towards Capitalism and Communism Global metamorphosis and the future of humanity Gumanoism”. ,,Ненависть к капитализму и коммунизму, глобальные метаморфозы и будущее человечества, Гуманоизм” წიგნი რუსულ ენაზე გამოსცა ევროპულმა გამომცემლობამ ,,Palmarium academic publishing''.

ავტორი მთავარ მეთოდოლოგიურ სამარჯვებად იღებს ცხოვრების მოვლენებისა და პროცესებისადმი ანთროპოცენტრულ მიდგომას, ადამიანის ინტერესებისა და შემოქმედებითი პოტენციალის თვალსაზრისით განხილვას, სინამდვილის აქსიომეტრიულ - საკაცობრიო ფასეულობათა შუქზე განსჯას, ევდენმონისტური ანუ ადამიანთა ბედნიერების რაკურსით შეფასებას, გენეტიკური, მემკვიდრეობითობის როლის მიხედვით ანალიზს. მთელი ისტორიული განვითარების პროცესი და ეტაპები, პროგრესის დონე ადამიანის განვითარების ეტაპებთან ერთად, დანახულია ზნეობრიობისა და სამართლიანობის რაკურსში. კაცობრიობის, ხალხების ცხოვრების გავლილი გზა წარმოდგენილია ამ მიმართულებით წინსვლით მოძრაობად, მეტ სამართლიანობასთან, ინტელექტუალურ-შემეცნებით პოტენციალთან ერთად.

გიორგი მალაშხია ორიგინალურად, ე.წ. ისტორიული მატერიალიზმის გავრცელებული შეხედულებისგან განსხვავებით, წარმოგვიდგენს საკაცობრიო განვითარების ამოსავალ წყაროს თვით ისტორიის ერთადერთი აქტორის - ადამიანის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი, შემეცნებითი, კრეატიული უნარის სახით და არა საწარმოო ძალთა და ეკომომიკური განვითარების თვალთახედვით, რაც თავად ადამიანის განვითარების შედეგია, ცხოვრების სხვა მხარეებთან - ზნეობრიობასთან, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლიანობასთან, ჰუმანურობასთან ერთად და არა თანდაყოლილი. ავტორის მიერ დამაჯერებლადაა მოწოდებული, რომ ისტორიული განვითარების ეტაპები არის ადამიანის ინტელექტუალურ შემეცნებითი და შემოქმედებით-დოვლათშემქმნელი უნარების პროდუქტი, რასაც შეესაბამება საზოგადოებრივ წყობათა ადგილი ისტორიაში.

კაცობრიობის ცხოვრებისა და განვითარების მთელი ისტორიული პროცესი ნაშრომში წარმოდგენილია არაეთიკურობისა და უსამართლობის დაძლევისათვის ბრძოლად, ამ მიმართულებით უფრო მაღალ დონეზე გადასასვლელად ადამიანის თავისუფლებისა და მორალური სრულყოფის გავალისწინებით.

კაპიტალიზმი განხილულია როგორც პროგრესის ეტაპი წინა საზოგადოებრივ წყობასთან შედარებით, რომელსაც ახლავს მრავალი ნეგატივი. ავტორს გაუმართლებლად მიაჩნია კაპიტალიზმის უზადო და მარადიულ სისტემად წარმოდგენა, რასაც ზოგიერთი მეცნიერი და პოლიტიკოსი ავრცელებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და როგორადაც ის მიაჩნია უმრავლესობას.

ავტორი განიხილავს კაპიტალიზმის ეპოქაში მეცნიერების, ტექნიკის, განათლების, კულტურის სფეროებში წინ გადადგმულ ნაბიჯებს და აქედან გამომდინარე, წინსვლას ეკონომიკაში, ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლებაში, პოლიტიკური ცხოვრების სფეროში, მათ შორის ადამიანის თავისუფლების, უფლებების გაფართოების, დემოკრატიის განვითარების მიმართულებით. მიუხედავად ამისა, მისი დასკვნით, კაპიტალიზმმა ვერ უზრუნველყო ადამიანთა ცხოვრების ძირეული საკითხების - სამართლიანობისა და ეთიკურობის, თავისუფლების, თანასწორობის, დემოკრატიის სრულფასოვნად დამკვიდრება. კაპიტალიზმი არ შეიძლება განვიხილოთ ცივილიზაციის მაღალ დონედ. ამას ადასტურებს მისი ნეგატიური ასპექტები. კერძოდ, ეს ეხება მკვეთრ და მზარდ ქონებრივ უთანასწორობას ადამიანთა შორის, რაც მერე საფუძვლად ედება მათ უთანასწორო მდგომარეობას საზოგადოებაშიც და ფაქტობრივად არათანასწორ უფლებებს, სრულფასოვანი თავისუფლების, დემოკრატიის შეუძლებლობას დაქირავებული შრომის, წარმოების საშუალებებზე კერძო კაპიტალისტური საკუთრების ბატონობის პირობებში. კაპიტალიზმის ეკონომიკა, ავტორის თვალსაზრისით, წარმოადგენს უწესრიგოდ ფუნქციონირებად სისტემას, მისი ფუნქციონირების მექანიზმი - კონკურენცია სისტემურად არასაკმარისად ეფექტიანი, სოციალურად ადამიანის ბუნებასთან შეუსაბამოა ეკონომიკურ სუბიექტთა შორის კონფლიქტის, დაუნდობელი ბრძოლის, არაჰუმანურობის მიზეზია. კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობები წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ბატონობის პირობებში დაძაბულობის, გამუდმებული რისკების წყაროა. კაპიტალისტური ურთიერთობები უწესრიგობის ნიადაგს ქმნის დოვლათის განაწილების, გაცვლის, მოხმარების სფეროებში. უსამართლობა დოვლათის განაწილების სფეროში საფუძვლად უდევს უსასრულო ქონებრივ უთანასწორობას. ქაოსური ფასწარმოქმნა იწვევს ინფლაციურ პროცესებს, ცხოვრებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების წაქეზება - მომხმარებლურ ზედმეტობას, უქმი - არასასარგებლო ეკონომიკის წარმოქმნას, ადამიანის ნივთების მონად გადაქცევას, ცხოვრების ფასეულობათა დევალვაციას და ა. შ. კაპიტალისტური ურთიერთობები საერთაშორისო ასპარეზზე კონფლიქტების, ხალხთა შორის ომების ნიადაგს ქმნის.

ამრიგად, ავტორს მივყავართ დასკვნამდე, რომ არ შეიძლება, თვალი დავხუჭოთ კაპიტალიზმის ირელევანტურობაზე ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ ახალ ციფრულ ერაში.

გიორგი მალაშხია განიხილავს კომუნისტური (სოციალისტური) სისტემის ისტორიულ ფესვებს, მისი წარმოშობის საფუძვლებს. იგი ეხება კომუნისტური იდეის წყაროებს, რასაც უძველეს ეპოქასთან, შუა საუკუნეების სინამდვილის მოვლენებთან, ახალი ეპოქის მოაზროვნეთა შემოქმედებასთან და რეალურ ფაქტებთან მივყავართ. კომუნიზმი (სოციალიზმი), ავტორის აზრით, არ შეიძლება ჩავთვალოთ ცალკეულ პიროვნებათა გამოგონებად, ფანტაზიის ნაყოფად. კომუნისტურ იდეაში თავს იყრის საერთო ადამიანურ ფასეულობათა - სიკეთის, ადამიანთა ერთობის, ძმობის, თავისუფლების, თანასწორობის, კეთილდღეობის და ა. შ. იმპერატივები. ამასთან ავტორი მიუთითებს კომუნიზმის იდეებში არარაციონალურ ელემენტებზე. მათ შორის უმთავრესი უტოპიური იდეები, საზოგადოების გარდაქმნის ძალადობრივი მეთოდები, რაც შემოიტანეს კომუნისტური იდეოლოგიის მესვეურებმა და მათმა მიმდევრებმა. სოციალიზმზე (კომუნიზმზე) გადასვლის მათ მიერ შემოთავაზებული გზა აღმოჩნდა არაჰუმანური, ადამიანთა დიდი მსხვერპლის მიზეზი. კომუნისტური (სოციალისტური) იდეალები, მიზნები არსად არ განხორციელებულა, გარდა ცალკეული ელემენტებისა, მიუხედავად კომუნისტების მტკიცებისა, რომ სსრ კავშირში სრული სოციალიზმი აშენდა. გ. მალაშხიამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ რეალურმა სოციალიზმმა ადამიანთა და მთელი საზოგადოების ჯერ კიდევ განვითარების არასაკმარისი დონის გამო თავიდან ვერ აიცილა სისტემის მრავალი ნაკლი: ადამიანთა არასრული თავისუფლება, ეკონომიკის არასაკმარისი განვითარება, საზოგადოების არასრული ჰარმონიულობა, განსაკუთრებით დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა უკმარობა, ინდივიდუალიზმის ჩაკვლა, ხარისხის დაცემა.

ამრიგად, წიგნში სოციალიზმის, როგორც ხალხის ცხოვრების რეალური წესის, არსებობა ათობით წლების მანძილზე და ამჟამად მისი გაგრძელება მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში მხოლოდ ისტორიული პროცესის გარკვეულ ეტაპადაა წარმოდგენილი.

აღნიშნული საკითხების განხილვისა და მათგან გამომდინარე დასკვნების გაკეთების შემდეგ გიორგი მალაშხია ლოგიკურად გადადის კაცობრიობის მომავლისაკენ სავალი გზისა და თვით ამ მომავლის არქიტექტურის განსჯაზე.

ამ ნაწილში უწინარესად იტერესს იწვევს ახალ პოსტკაპიტალისტურ და პოსტსოციალისტურ საზოგადოებაზე გადასვლის წანამძღვრები, ამ მიმართულებით არსებული რეალური ტენდენციები. მათგან პირველ რიგშია ისევ ადამიანის ინტელექტუალურ-შემეცნებითი განვითარება, განსაკუთრებით ზნეობრივი პროგრესი, რაც ავტორის თანახმად ძირეულ ნახტომად არის მიჩნეული კაცობრიობის ისტორიაში. კიდევ უფრო მეტი ზნეობრივი პროგრესი უნდა მოჰყვეს ახალ მეცნიერულ-ტექნოლოგიურ რევოლუციებს, ეთიკური რევოლუციის შედეგად. საკვანძო პროცესია საკუთრებით უერთიერთობათა ცვლილება, კერძო კაპიტალისტური საკუთრების ტრანსფორმაცია და გაქრობა, რის ნიშნები უკვე საკმაოდ თვალნათლივ ჩანს დღევანდელობაში, კიდევ უფრო მზარდი იქნება ხვალ, რადგან პლანეტარული მასშტაბის გამოწვევების წინაშეა კაცობრიობა. ასეთ გამოწვევებთან გამკლავება კი მხოლოდ აზროვნების ახალ საფეხურზე გადასვლითაა შესაძლებელი - ,,მე“ აზროვნებიდან ,,ჩვენ“ აზროვნებაზე გადასვლით.

მომავალი ცხოვრების ახალი წესი, მისი არქიტექტურის კვანძები ავტორს წარმოუდგენია ჭეშმარიტების სამყაროდ, ადამიანთა შორის სიყვარულის საუფლოდ. ახალი ეპოქის ადამიანი თავისუფალი იქნება ადრინდელი ნეგატივების - ბოროტების, სიხარბის, ანგარების, მიკერძოებულობისაგან, ნივთებისადმი უსაზღვრო ლტოლვისაგან. ასეთ ადამიანთა საზოგადოება იქნება ჰარმონიული, ნამდვილად ბუნებრივი, ადამიანური საზოგადოება, რომელსაც ავტორი პირობითად ,,ჰუმანოიზმს'' უწოდებს. ასეთად არის წარმოდგენილი კაცობრიობის მომავალი, რომლის გარდუვალობა, გიორგი მალაშხიას წიგნის მიხედვით ეჭვს არ იწვევს.

სტუ-ს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ანზორ აბრალავა
სტუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
მაია ბენია

გურამ პეტრიაშვილი

ზვიად გამსახურდიას

სათნო გრძნეულმა დაგისახა მნათი
მიზანი
და იმ მიზნისკენ განუხრელად მიხვალ
და ილტვი,
გადაანგრიე ყველა ზღუდე და გალავანი,
შეგრჩაღა მრთელი ან რა გული და ან
რა ფილტვი?

მიხვალ ჯიუტად, შეუპოვრად,
ისწრაფვი კუშტი
და ჰა, აფრინდი და მიფრინავ
ღრუბლებში მსრბოლი,
ანათებს მთვარე შუქნათელი შენს
ფრთების ქნევას
და ცისქვეშეთში აღარა გყავს აღარსად
ტოლი.

მაშ, მიდი, გმირო, მიდი მტკიცედ,
შენია სივრცე,
უკვე ახლოა დასახული შენთვის მიზანი
და რომ არ გცნობდა, დაგცინოდა და
ქირქილებდა
დამფრთხალია და დაჩოქილი ყველა
მისანი.

ხალხი და ისტორია ზვიად გამსახურდიას მიმდევრებსა და მომხრეებს უსამართლოდ მოექცნენ. ამის შეგნება ჩვენში თანდათან მკვიდრდება და ძლიერდება. მათ მიმართ გვიჩდება

წიგნი თბილისის პირველ მერზე

,,ორგემაგე" განცდა: ერთი მხრივ, დანაშაულის შეგრძნება და, მეორე მხრივ, - ვალდებულებების გრძნობა.

და დღეს ერთგვარად ვცდილობთ ტკივილის ბურუსიდან გამოსვლას და ერთგვარ მონანიებას, როცა ისტორიკოსები, მწერლები, ჟურნალისტები ვწერთ იმ წლებზე, ვიგონებთ იმ ადამიანებს, რომლებიც ისტორიის ულმობელ მსვლელობას არ დაემორჩილნენ და მკვდარი თევზებივით არ აედევნენ წარმავლობის მდინარეს.

სწორედ ერთ-ერთი ამგვარი პატრიოტი გახლდათ თამაზ ვაშაძე, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა, რომელმაც იწვნია ,,ტრიუმფის სიხარულიცა და დევნის სიმწარეც, მეგობართა თანადგომაცა და ღალატიც". ერთი სიტყვით, გურამიშვილის სიტყვებით თუ ვიტყვით, ბოლომდე ,,ხვრიტა ცხოვრების მწარე სახვრეტელია".

ცნობილ მსახიობ მიხეილ ვაშაძეს ოჯახში დაუდიოდნენ არტისტები, მწერლები, ჟურნალისტები, კულტურის მოღვაწენი და, შვილიც რომ მის გზას დასდგომოდა, ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, ოღონდ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა: უნარიან და საქმიან ახალგაზრდას ეწადა, ღარიბ ოჯახს შეშველებოდა, ერთგვარად ეკონომიურად შეხიდებოდა. ამიტომაც ცეკვა-თამაში და გართობა გვერდზე გადადო და თავისი ცხოვრების მთავარ საქმიანობად მშენებლის პროფესია გაიხადა.

,,მშენებელი" – იტყვი და გული სიამით იწყებს ფეთქვას; ,,მშენებელი" – ეს ხომ ცხოვრებისა და ყოფიერების ოპტიმისტური მუსიკაა; ,,მშენებელი" ვერასოდეს იქცევა დამანგრევლად, დესტრუქციულ ძალად.

რამდენი რამ ააშენა, დაამშვენა, და, როგორც იტყვიან, ,,ხონჩით მიართვა" მშობელ ერს.

მიუხედავად ამისა, ,,მის ცხოვრებაში მაინც უმთავრესია ეროვნულ მოძრაობასთან თავისი პროფესიის დაკავშირება, როცა იგი საქმით აშენებდა ახალ საქართველოს" (სოსო სიგუა), თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ, როცა საჭიროებამ მოითხოვა, საუკეთესო ორატორიც დადგა და ,,მისი საორატორო გამოსვლებიც აღმშენებლობის ნაწილი იყო".

აი, ამ პიროვნების ღვაწლის წარმოჩენას ცდილობს მწერალი და ჟურნალისტი მანანა გორგიშვილი, რომელსაც გამოწვლილვით შეუსწავლია ვაშაძეთა დიდებული ოჯახის ავანჩავანი, ბატონი თამაზის წვლილი ქვეყნის ფიზიკურ და სულიერ მშენებლობაში. თამამად უნდა ითქვას: ამ წიგნის მიხედვით მკითხველის წინაშე სრულყოფილად წარმოჩინდება თბილისის პირველი მერი, ამჟამად 85 წლის ვაჟკაცი, რომელიც ნამდვილად არის განსახიერება ქართველი კაცის ოპტიმისტური ბუნებისა, უტეხი ნებისა, შემართულობისა და შეუვალობისა.

მაშ, ასე:

ჩვენ წინ დევს 352 გვერდიანი წიგნი ,,შეუვალი კაცი", რომლის ცალკეული ქვეთავები თამაზ ვაშაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკე პერიოდებს გვითვალსაჩინოებს.

ავტორი თავის ნაშრომს საინტერესო ფაქტის აღნიშვნით იწყებს: ბატონი თამაზის ოჯახში მიმსვლელებს დარბაზის კედელზე თავიანთი ავტოგრაფები დაუტოვებიათ: ,,აქ დიდი სუფრები იშლებოდა და ყოველ ჯერზე ყველა სტუმარი აქ თავის ავტოგრაფს ტოვებდა... მართლაცდა, ვინ აღარ იყო აქ დაფიქსირებული: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, რეზო ჩხეიძე, რევაზ მიშველაძე, სოსო სიგუა, სალომე ბაღათურია, გიგა ლორთქიფანიძე, ოლიკო ჟღენტი, ელიზბარ ჯაველიძე, ვასილ კიკნაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, ლევან გოთუა, გრიგოლ აბაშიძე, გოგი დოლიძე, გიორგი წერეთელი, ზაურ ბოლქვაძე, დოდო ალექსიძე..." (9).

კედელზე განსაკუთრებით ორი წარწერა გამოირჩევა. აი, ისინიც: ,,დიდება საქართველოს! – ზვიად გამსახურდია" და ,,ვაშა – ვაშაძეებს, ვაშა – ჩემს საქართველოს! – მუხრან მაჭავარიანი" (9).

არც მესამე საჩინო წარწერა გამორჩენია ჟურნალისტის მახვილ თვალს: ,,ან გამარჯვება, ან სიკვდილი. უკან დასახევი გზა არა გვაქვს. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! – მერაბ კოსტავა" (9).

რად სჭირდება ყოველივე ეს ავტორს?

იმად, რომ აჩვენოს ის ატმოსფერო, რომელიც ამ ოჯახში სუფევდა; აჩვენოს ის მიმართულება, რაც ამ ოჯახს დაეკავებინა 1980-იანი წლების ბოლოს; აჩვენოს იმ აფრების ტკაცუნი, რომელიც ძილს უფრთხობდა და არ აძინებდა ოჯახის წინამძღოლს და მოგვიანებით – დედაქალაქის წინამძღოლსაც.

გამოდის ერთადერთი დასკვნა: თამაზ ვაშაძის ოჯახი ერთ-ერთი მძლავრი ფორპოსტი იყო, სადაც ეროვნული მოძრაობა იკვრებოდა, ფართოვდებოდა, ძლიერდებოდა და ავალას იკრებდა.

ავტორი ყოველმხრივ ცდილობს, ადრე აღძრული სურვილი დაიკმაყოფილოს. რა არის ეს? ,,დიდი ხანია სურვილი მაქვს ჩვენს უახლოეს ისტორიაზე რამე დავწერო, ისტორიაზე, რომელმაც ჩვენ თვალწინ ჩაიარა... ერთი რიგითი ადამიანის ცხოვრების ფონზე მეტად მკაფიო და მკვეთრად საგრძნობი იქნება ისტორიული პერიპეტიები, ცვლილებები, გადაწყვეტილებები და პროცესები" (11).

ამ მიზნის განსახორციელებლად ავტორი განუწყვეტლივ ირჯება, თანამიმდევრულად აჩვენებს თავისი მთავარი გმირის ცხოვრების ეტაპებსა და ეროვნული მოძრაობის წარმოშობის, განვითარების, ზეობისა და უბადრუკად დასრულების გულისმომწყვლელ მატიანეს, მათ განუყრელ ერთიანობას; აჩვენებს, რომ კომუნისტურ ვითარებაშიც კი შესაძლებელი იყო ნიჭი და ენერგია კეთილად წაგემართა (ქვეთავები: სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ", ,,თბილისის მეტრო", ,,მწვერვალი ,,კონსტანტინე გამსახურდია", ,,ვაშა, შენებას!"), ხოლო ეროვნული მოძრაობის აღზევებისას ახალ სულისკვეთებას მინდობოდი (ქვეთავები: ,,ეპოქის მიკროისტორია", ,,ყველაფერს გაპატიებენ, ნიჭს კი – არა"; ,,იძულებითი ემიგრაცია"; ,,რადემდე?" ,,არაფერს შევცვლიდი").

წიგნი ჟანრობრივად ეკლექტიკურია: ერთმანეთს ენაცვლება მწერლური ხატოვანი თხრობა და ჟურნალისტურ-პუბლიცისტური ბელეტრისტიკა; აქვეა ჩართული ინტერვიუები. გარდა ამისა, ნაშრომს თან ერთვის დანართი. ეს არის ის მასალები (მოხსენებები, წერილი-განმარტებები, ინტერვიუები), რაც ავტორმა თავისი რესპონდენტისაგან მოიპოვა. ასევე ნაშრომს თან ერთვის ის წერილები, რომლებიც დაწერილია თამაზ ვაშაძის ღვაწლის წარმოსაჩენად. ამ მასალების ავტორები არიან მანანა არჩვაძე-გამსახურდია, რევაზ მიშველაძე, ანზორ საკანდელიძე, ბაკურ გულუა, ანზორ აბრალავა, ავთო ვარსიმაშვილი, ნოდარ კობერიძე, თამილა ვაშაძე, მარიამ ვაშაძე.

საგულისხმოა, რომ ტომეულს ამრავალფეროვნებს და სილამაზესაც მატებს ისტორიული მნიშვნელობის საოჯახო-საარქივო ფოტოები (314-352).

ამრიგად, მკითხველს აქვს საშუალება, კიდევ ერთხელ გაიაზროს ჩვენი უახლოესი ისტორია, წარმატებისა და დაცემის ამსახველი მასალები, ფაქტები და ყოველივე ამის ფონზე გაიხსენოს თბილისის პირველი მერის, ქვეყნის უანგარო მშენებლის, მამულიშვილური ღვაწლი.

მურმან თავდიშვილი

კამილა-მარიამ კორინთელი - 90

90 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი კამილა - მარიამ ნიკოლოზის ასული კორინთელი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო კამილა!

ჩვენო ძვირფასო და ერთგულო კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები მადლიერებით მოგესალმებიან მშვენიერ შემოქმედს, ქართული მწერლობის მოამაგესა და მოჭირნახულეს და გილოცავენ დაბადების 90 წლისთავს.

ექვს ათეულ წელზე მეტია, რაც გრძელდება თქვენი უაღრესად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი მოღვაწეობა ქართული მწერლობისა და კულტურის სასიკეთოდ. თქვენი სამწერლო დებიუტი ხომ 1959 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი თარგმანები ქართული ლიტერატურისა.

სწორედ „ლიტერატურნაია გრუზია“ იქცა თქვენთვის ჭეშმარიტ ნავსაყუდელად, ის ჟურნალი, რომელმაც წინარე საუკუნის 60-იანი წლებიდან მყარი ბალავარი ჩაუყარა ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის პოპულარიზაციასა და პროპაგანდას, მთარგმნელთა დაინტერესებას ქართული მწერლობით, მისი წარსულით და დღევანდელობით. და თუ ამ ჟურნალის რედაქციაში შესაშური შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა, თუ ნებისმიერ მთრგმნელს გულისხმიერების, კეთილშობილების, ადამიანური სითბოს საბურველში ხვევდნენ, ამაში თქვენი დიდი დამსახურებაც იყო.

მართლაც რომ დიდი ღვაწლი დასდეთ ქართული მწერლობის რუსულ ენაზე ამეტყველებას. ჩინებულად თარგმნეთ ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, გერონტი ქიქოძის, სერგო კლდიაშვილის, გიორგი შატბერაშვილის, ნოდარ დუმბაძის, გურამ ასათიანის, რევაზ ჯაფარიძის, გურამ რჩეულიშვილის, აკაკი გეწაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, გიორგი ციციშვილის, რევაზ ინანიშვილის, რეზო ჭეიშვილის, სხვათა და სხვათა ნაწარმოები და ეს დიდებული მწერლები რუსლენოვანი მკითხველის საკუთრება გახადეთ. ქართველებს კი ფედერიკო გარსია ლორკასა და მარინა ცვეტაევას შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები გააცანით.

თქვენი, როგორც მთარგმნელის, უმთავრეს ღირსებას ის წარმოადგენს, რომ თქვენს თარგმანებში ზედმიწევნით ზუსტადაა გადმოცემული ორიგინალის არსი და სული, დაჭერილია ტონი და მუსიკა, გაცოცხლებულია ფრაზა და ინტონაცია. და რაც მთავარია, ეს თრგმანები გამოირჩევა ენობრივი და სტილისტური სიმდიდრით და პლასტიკით, სახეობრივი და სამეტყველო ფაქტურის ძალით და ხატოვანებით.

თვენთვის ჩვეული კდემამოსილებითა და სინაზით, ცხოვრებისეული მსოფლგანცდითაა დაღდასმული ის ლექსები, რომლებიც მათი ავტორის ნიჭიერებაზე მეტყველებს.

დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება და ალღო გამოარჩევს თვენს ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებსა თუ პუბლიცისტურ სტატიებს.

სხვადასხვა დროს მუშაობდით გაზეთების „მოლოდიოჟ გრუზიისა“ და „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტად, ეწეოდით პედაგოგიურ საქმიანობას. 1957 წლიდან კი ძალიან დიდხანს მოღვაწეობდით ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქციაში. იყავით ამ ჟურნალის კორექტორი, ლიტმუშაკი, განყოფილების გამგე, პასუხისმგებელი მდივანი, მთავარი რედაქტორის მოადგილე. არჩეული იყავით ჟურნალისტთა კავშირის წევრად, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეპორტირებულ მესხთა კომისიის წევრად, მუშაობდით საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წამყვან სპეციალისტად.

დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით; მონიჭებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიები, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება.

ქალბატონო კამილა!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ მოგესალმებით ღვაწლმოსილ შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და საქართველოს გაბრწყინებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



აკაკი ბიძინაშვილი - 85

85 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ივანეს ძე ბიძინაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო აკაკი!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ღვაწლმოსილ მხცოვან შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

თქვენი პოეტური ნათლობა 1956 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ნორჩი ლენინელში“ დაიბეჭდა თქვენი პირველი ლექსი „შენ იყავი“. მას შემდეგ თქვენი ლექსები და მხატვრული თარგმანები იბეჭდება ჩვენს პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველის ინტერესი და მოწონება დაიმსახურა თქვენმა ისეთმა პოეტურმა კრებულებმა, როგორიცაა „ყური დამიგდე“, „ეს ორი ცრემლი“, „შენს თითებზე“, „ირაო“, „მე ახლა ისეთ სიმღერას ვმღერი“, „ლირიკა“, ერთტომეული, „გორის ციხიდან“, „ბროწეულის ყვავილები“...

ამ კრებულებში ცისარტყელასავით გამოკრთა მათი ავტორის ვაჟკაცური სული, ჭეშმარიტი პატრიოტიზმი. დიახ, იქ დავანებული ლექსების ლირიკული გმირი სამშობლოზე, მის წარსულზე და აწმყოზე დაფიქრებული პილიგრიმია, რომელიც ქარქაშიდან თავისით დაძრულ ხმალზე ოცნებობს, ოცნებობს იმაზე, რომ ქართველები ხმალს თუ ალესავენ, ისე ალესონ, როგორც დავით აღმაშენებელი ლექსავდა, თუ იავარქმნილი სამშობლოს მომავალზე იფიქრებენ, ისე იფიქრონ, როგორც დიდი ილია მართალი - ილია ჭავჭავაძე ფიქრობდა, თუ კალამს მოჰკიდებენ ხელს, შოთა რუსთაველზე აიღონ სწორება. თავად კი ვაჟკაცური სულის მატარებელია, თავისუფლების დაუოკებელი წყურვილით, სიყვარულის და ერთგულების ნიჭითაა გამორჩეული... გული უკვდება იმის შემხედვარეს, თუ როგორ დაჰქრის სამაჩაბლოში სიკვდილი და როგორ ანადგურებს ძირძველ ქართულ მიწას, როგორ შლის ქართველთა ნაკვალევს... სიყვარულისთვის დაბადებულს მტკიცედ სწამს, რომ ამ უდიადეს გრძნობას ლერწამის ყელი აქვს...

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია რუმინულ, ბულგარულ, გერმანულ, რუსულ, ოსურ ენებზე.

თავადაც ჩინებული მთარგმნელი ხართ. ქართულად თარგმნეთ პიერ ბერანჟეს, ვასილ ჟუკოვსკის, ევგენი ბარატინსკის, აპოლონ მაიკოვის, კოსტა ხეთაგუროვის, იანკა კუპალას, ალიონა რუცკაიას, ალგიმანტას ნიკუტას ლექსები.

თქვენს ლექსებზე არაერთი სიმღერაა შემქნილი.

თქვენი მრავალწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობა აკაკი წერეთლისა და გიორგი შატბერაშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა, მონიჭებული გაქვთ იაკობ გოგებაშვილის მედალი.

ფართო საზოგადოება გიცნობთ, როგორც აქტიურ საზოგადო მოღვაწეს. არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გიმუშავიათ და ყველგან ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდით, ყველგან სიკეთეს და სათნოებას თესავდით.

ბატონო აკაკი!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას კოლეგას, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და თქვენი სანუკვარი ოცნებების განხორციელებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

სონეტები

ჯენეტ ვეკუა

***

სადაც სიკეთე სიბოროტის ტყვედ
ჩავარდნილა, -
და სილამაზეს სიძულვილის ადევს
ბორკილი,
სადაც სიცოცხლის მშვენიერი წლები
გაფრინდა
და ყოველივეს აშენებას იწყებ
თავიდან...

ბობოქარ ზღვაში გადაგაგდეს თითქოს
ნავიდან,
ტალღებში ზეცა ირეკლება როცა
მაღლიდან,
ხსოვნათა ფსკერზე ჩაძირული ნდობის
ხომალდით,
სხეული ცვილის საპყრობილე, გრძნობა
ფოლადი...

იქნება ისევ გაუმკლავდე ავდარს
მოვარდნილს,
წუხანდელ ღამეს, უძილობას, ეჭვებს
რა დათვლის,
და განთიადზე ჩაძინებულს ყველაფრით
დაღლილს...
გეზმანა, როგორ ეთხოვები სანუკვარ
ნაპირს...

თუ რამედ გიღირს ამ სამყაროს
კრძალვით ყურება,
გედის სიმღერა შეასრულე, დრო
იწურება...

***

ვიცი, ჩემს გულში სინანული
დაისადგურებს,
დაჭკნება ვარდი სიყვარულის ნეშტად
ქცეული...
ველარ გაუძლებს მოგონება დღეებს
მაცდურებს
და მარტოობა სიძულვილის სოლოს
ასრულებს...

უმიზნო დღეებს უბედობა ვინ
დააბრალა,
მიჰყვება წუთებს უმწარესი გრძნობის
ნაფლეთი,
ახლა ვინ მოსთვლის ამ ბრძოლაში
ვინ იზარალა
ცოდვილ სამყაროს სხივი ერწყმის
ამონათების...

დარდის ანგელოსს გული უცემს აქ
გამალებით,
სევდა მიგალობს, ქარი უკრავს
ღვთაებრივ ჰანგებს,
რა დრო გასულა, დავიდარობით და
გაწვალებით...
მწუხრი ედება ყოველივეს ზმანებით
ნაგებს...

ამსხვრევს და ანგრევს ბოროტება
დიდების სარკმელს;
და მოწყენილი ვემსგავსები
დაღვენთილ სანთელს...

***

მე დილით ადრე, გარიჟრაჟზე ვუსმენ
გალობას,
როგორ დამტოვე კუნაპეტში შველის
სათხოვნად,
მოგონებიდან მიდიოდი ასე ახოვნად...
სირინოზები გაიღებენ უფლის
წყალობას...

სხვასთან წახვედი, გადავიტან
უნახაობას,
აღარ მოგიხმობ, სიყვარულის ვიქეც
მათხოვრად,
ბრმაც კი შენიშნავს დაზაფრული
ჩვენში სხვაობას,
ბრმაც დატოვე საუკუნოდ შენგან
სახსოვრად...

ეს სიძულვილი სიყვარულზე მეტად
შეგფერის,
ზღვარს გადასული სიმარტოვის
კვდება თარეში,
ხელში შემრჩება ოცნებანი ცრემლით
ნაფერი -
და ტკივილები სატანჯველად გულის
არეში...

მე ყოველ წუთში ვცდილობ ისევ შენს
დავიწყებას
და გაძარცვული მივენდობი
თავდავიწყებას...

***

თუ ტყვედ ვიქეცი, პატიმრობას ნუ
დამაბრალებ,
სიყვარულისგან უცნაურად რატომ
ვიქცევი...
უმადურობის გულცივობით ნუ
გაამართლებ,
ღმერთის სამსჯავროს ვერასოდეს
ვერ გაექცევი...

რა დავაშავე, გეკითხები, ცა გააშავე...
ავდრის ღრუბელი ჩამომდგარა
სისხლის წვიმებით,
ჩვენს შორის ახლა მხოლოდ შენ ხარ ის
დამნაშავე,
უფსკრულის კართან მდგარი ცეცხლში
რომ დაიწვები...

ფერფლად ქცეული მონატრება თუ
გადამალე,
ველარ იხილავ მწველ ხატებას დარდის
მორევში,
ღალატის ცოდვას პატიებით ვერ
გაამართლებ
სიცრუის ძერწვას, თვალთმაქცობას
უკვე მოეშვი...

ობლად დარჩენილს არაფერი არ მაქვს
სატქმელი,
შენთვის უსიტყვოდ დაიხურა გულის
სარკმელი...

***

ამ სააღდგომოდ აფეთქებულ ოცნების
ბაღში
ვტოვებ იმედებს, მოგონებას,
სასოწარკვეთას,
ვით დაკარგული სამყაროში პატარა
ბავშვი...
მდუმარებაში დედამიწის წამებას
ხედავს...

ტანჯული გული გამალებით ჯერ ისევ
ფეთქავს,
აღსარებიდან აღსასრულამდე ეძახის
ვნებას,
როგორც ფრთოსანი ელოდება
გამოდარებას,
გოლგოთისაკენ ასასვლელი ბილიკი
ელავს...

სასაფლაოსთან ცრემლებია, ვარდების
კონა,
არდაბაგება, განდგომა და შერისხულები,
ჩემგან სახსოვრად დაიტოვე ეს ბოლო
კოცნა,
და ნიავს მიაქვს უშორესი ნაფეხურები...

ველარ შევხვდებით ვერასოდეს,
ღელავს სამკვდრეთი,
წმინდა სიცოცხლე სიკვდილია და
ნაზარეთი.

ელგუჯა მგელაძე

ბუმბერაზი წიფელი და „იაგორის საცივი“

ირიჟრაჟა...

ღამეს ჯერაც ვერ მიეღო გადაწყვეტილება, რომ ძილით დაღლილი ქვეყანა გაეღვიძებინა.

მისი ბჭობა მზეს შეეწყვიტა... ნელ-ნელა, ჯერ ცარგვალი გაენათებინა, მერე - მიწა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გიშრის ღამე და საფირონის დღე.

იღვიძებდა გურიის ულამაზესი სოფელი ზომლეთი და ამ სოფლის მშვენება, დიდებული ბუმბერაზი სამასწლოვანი წიფლის ხე, რომელიც, რომ იტყვიან, სოფლის სავიზიტო ბარათი იყო!

ამ უზარმაზარი წიფლის გარშემოწერილობა სულ ცოტა ოთხი მეტრი მაინც იქნებოდა. იგი განმარტოებით იდგა იაგორ მგელაძის ფერდობიანი ეზოს ყველაზე დაბალ ადგილზე. ძნელია, სიტყვებით იმის გადმოცემა, თუ როგორი იყო ეს ხე. მისი ტოტები, ერთნაირად თანაბრად გაშლილიყო ყველა მიმართულებით და უზარმაზარ ქოლგას მოგაგონებდათ. იგი მთელ ამ არემარეს ავსებდა, ასეთი მოცულობის გამო და იშვიათი სანახავი იყო. ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, რომ მიდამოს ერთი ხე ავსებდა და მთელი ტყის ასოციაციას ქმნიდა. უქარობაში მისი სილამაზის აღწერა უბრალოდ, შეუძლებელი იყო. უზარმაზარი ტოტებიც კი გარინდულიყვნენ, მაგრამ ოდნავი სიო წამოუბერავდა თუ არა, უცებ იცვლებოდა წიფელი. ერთად აჩურჩულდებოდნენ ტოტები, ერთმანეთს აჰყვებოდნენ ფოთლები. ფოთოლთა ჯარის შრიალი ერთ სიმფონიად იქცეოდა და მთელ არემარეს ავსებდა.

როცა ფერდობზე ნისლი ჩამოწვებოდა და ირგვლივ აღარაფერი ჩანდა, წიფელი ერთს შეიბერტყავდა ძლიერ ტოტებს და ნისლიც უცებ გაიფანტებოდა!

დილა ტოროლას სტვენით იწყებოდა, მას მერცხალი ეხმიანებოდა ჭიკჭიკით, ჟღურტულებდნენ პატარა ბარტყებიც, ბუდეებიდან თავს ამოჰყოფდნენ და გარემოს ათვალიერებდნენ, თითქოს ცხოვრებას სწავლობდნენ.

შეუძლებელია იმ სილამაზის აღწერა, რაც წიფლის ამ გამოღვიძებას თან ახლდა. დილაადრიან, მზე ოდნავ გამოანათებდა თუ არა, იხუვლებდნენ ფრინველები. ხის უზარმაზარი ტოტებიდან ცაში აიჭრებოდა აურაცხელი ჩიტი, თითქოს, დირიჟორმა ჯოხი აუქნიაო და დავლურს უვლიდნენ ჰაერში; თავს დასტრიალებდნენ მშობელ წიფელს და ათასგვარ ხმაზე უმღეროდნენ.

ასეთი მშვენიერების ხილვის ბედნიერება, იშვიათად თუ ეღირსება ადამიანს!

იღვიძებდა ბუნება და წიფლის გაღვიძებაც განსაკუთრებით უხაროდა მის ძირას მორაკრაკე მესაიდუმლე და ერთგულ მეგობარს, ანკარა წყაროს!

წყაროს წყალი, სპეციალურად გამოჭრილ, დაახლოებით ერთ ტონამდე ტევადობის ქათქათა თეთრ, წყალგაუმტარ კლდის ფიქალში გროვდებოდა და ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მარტო ბუნების დამსახურება კი არა, ადამიანის ხელის დახმარებით, ჭკვიანურად იყო მოფიქრებული და შესრულებული. აუზს, ზედმეტი წყლის გასატარებელიც ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ მასში ერთ ტონამდე წყალი სისტემატურად იდგა. წიფლის ხის მიწის ზედაპირზე ამოზიდული ფესვებიც, წყაროს თავზე ისე მოხერხებულად იყო განლაგებული, რომ მორაკრაკე წყლის მსურველს შეეძლო, ერთი მეტრის სიღრმეში შეეყო ხელი და სპეციალური ჭურჭელი, პირდაპირ წიფლის ფესვების ბუნებრივ ტერასაზე, შეედგა წყლისთვის.

წყაროს და წიფელს უანგაროდ უყვარდათ ერთმანეთი. სანაცვლოდ არაფერს ითხოვდნენ. მათი ურთიერთობა, ალბათ, ერთადერთი შემთხვევა იყო იმის გამო, რომ ხე და წყარო ბევრს უნახავს ერთმანეთის გვერდით, მაგრამ ხის ფესვებიდან გამომდინარე წყარო, რომელიც ,,აუზს ქმნიდა“, არავის ახსოვს.

აქ, სოფლის უბნების გზაგასაყარი იყო და ყოველთვის განსაკუთრებით ბევრი ხალხი მიმოდიოდა.

ერთი სიტყვით, ეს ნამდვილი სიცოცხლით სავსე გარემო იყო!

აქაურები ამ ადგილს ,,იაგორის საცივს“ უწოდებდნენ. ეს სახელწოდება შემთხვევით არ მოუგონიათ. წყარო იქაური გლეხის, იაგორ მგელაძის საკარმიდამო ნაკვეთში მდებარეობდა. არავინ იცოდა, ხსენებული ბუმბერაზი წიფელი უფრო დიდი ხნის იყო თუ წყარო, რომელსაც ენაკვიმატი გურულები რატომღაც ,,საცივს“ ეძახდნენ. ერთი კია, რომ ამაზე ლამაზ, იდუმალ ადგილს ძნელად იპოვიდა კაცი! მოსახლეობას წყარო და წიფელი ცალ-ცალკე ვერ წარმოედგინა.

,,იაგორის საცივი“ უშუალოდ სამანქანო გზის პირას მდებარეობდა და სოფლის მსხვილფეხა თუ წვრილფეხა პირუტყვისაგან დასაცავად, იგი აკაციის მეტრნახევრიანი სიმაღლის მესერით იყო შემოღობილი. ნებისმიერ მსურველს, ღობის დაბალ ,,ალაგეზე“ გადავლით, შეეძლო ცივი წყლის დაგემოვნება. წყლის ჭურჭლად, წვერწათლილ მესერზე ჩამოკიდებულ კონსერვის თავმოჭრილ ქილებს იყენებდნენ.

ენით აუწერელი სილამაზე იყო, წყაროს აუზის კიდეებზე წყლის დასალევად შემოსკუპებული უამრავი ფრინველის ხილვაც. ხშირად გვინახავს ელექტრონის მავთულებზე შემომსხდარი ფრინველები, მუსიკალურ ნოტებს რომ მოგვაგონებდნენ... მაგრამ წყაროს შესევის დროს სულ სხვა სურათი იყო: ეს ათასფერი ჩიტი ტილოზე ხელით ნაქარგს ან მხატვრის ფუნჯით დახატულს ჰგავდნენ.

ცივი წყლით გაგრილებული ჩიტები, მერე, ერთად აფრინდებოდნენ, ცას მიაშურებდნენ და ჟრიამულით იკლებდნენ იქაურობას. ალბათ, სწორედ ამაზე ითქმის ხოლმე: მზეს უმღერიან ჩიტებიო!

წიფელი წელიწადის ოთხივე დროს, რომ იტყვიან, შეუდარებელი იყო, მაგრამ განსაკუთრებით საოცარი იყო იგი გაზაფხულზე, ზამთრის შემდეგ გამოფხიზლებული! უნდა გენახათ, როგორ იბადებოდნენ და მერე როგორ სკდებოდნენ დაბერილი კვირტები - მისი შვილები. როგორ იმოსებოდა უხვი ტოტები ფოთოლთა ულამაზესი კაბებით!

ჰაერი რომ დათბებოდა, თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებოდა ათასი სახეობისა და ჯიშის ფრინველი. ირგვლივ გაზაფხულის ყვავილების სურნელება ტრიალებდა.

ბედნიერი ჩიტები ჰაერში დავლურს უვლიდნენ, თავს დასტრიალებდნენ მშობელ წიფელს. მერე ცოტა ხანში მათი ბარტყები დაიჩეკებოდნენ და სურათიც სულ სხვანაირი ხდებოდა. ხეც თითქოს ზღაპრებს უყვებოდა პატარებს, ასწავლიდა მათ, რომ არსად, ასე ლამაზად არ თენდებოდა და ასე ლამაზად არ ღამდებოდა, ასე არ ჩახჩახებდა მზე, როგორც აქ და, სწორედ ეს იყო მათი სამკვიდრებელი!

ამ ხეს თითქოს სხვა განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდა იმ ფრინველების მიმართ, რომლებიც თბილ ქვეყნებში არ მიფრინავდნენ და მის ტოტებში იზამთრებდნენ, ზოგი დროებით დაცლილ ბუდეებში, ზოგიც უზარმაზარ ფუღუროებში. წიფელი, შეძლებისდაგვარად ,,მასპინძლობდა“ მათ. მისი უზარმაზარი ტოტების ქვეშ თავს აფარებდნენ ადამიანები და ცხოველებიც.

წიფლის გამოღვიძება ძალიან ახარებდა სოფლის ბინადრებსაც. მისი მდებარეობის, სამანქანო გზასთან სიახლოვის გამო, გამვლელი თუ გამომვლელი, წყურვილს აქ იკლავდა.

წიფელმა თითქოს იცოდა ყველა მიტოვებული ბუდის, ყველა ობოლი ფოთლის, ყველა იმედგაცრუებული ტოტის, ყველა ძირს ჩამოვარდნილი ბარტყის, ყველა ბნელი ფუღუროსა და ყველა ფრთოსნის ამბავი. ისიც იცოდა, როდის მოფრინდებოდნენ აქ ჩიტები, ყვავილს შერჩენილი ნამი რომ შეესრუტათ.

მიუხედავად იმისა, რომ წიფელს მეხის რამდენჯერმე დაცემის კვალიც აჩნდა და რამდენიმე ფუღუროც ჰქონდა, ის მაინც ისეთი ბუმბერაზი და მდიდრული იერის იყო, რომ, მის ქვეშ წყაროც რომ არ ყოფილიყო, საკუთარ ღირსშესანიშნაობას მაინც არ დაჰკარგავდა! ხის უზარმაზარი ტოტები თავის დროზე, ალბათ, ზეცისკენ იყო აღმართული, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი ნელ-ნელა დაბლა ეშვებოდნენ და მას სხვანაირ იდუმალ იერს აძლევდნენ. ის კი არა, დასავლეთ მხარეს, ერთი, დაახლოებით 60 სანტიმეტრის დიამეტრის ტოტი, იმდენად ჩამოიწია ქვემოთ, რომ მის ქვეშ გამა¬ვალ გზაზე თივით ან ჩალით არაგაბარიტულად დატვირთული ავტომანქანები და ტრაქტორის მი¬საბ¬მელები, თავისუფლად გავლას ვერ ახერხებდნენ. ადგილობრივი მძღოლები ყოველ¬თვის ითვალისწინებდნენ ამ გარემოებას და ტვირთი წიფლის გვერდის ავლით, შემოვლითი გზით მიჰქონდათ.

სოფელ ზომლეთში ალბათ ვერ ნახავდით ადამიანს, ვისაც, რომ იტყვიან, პირი არ ჰქონდა ჩატკბარუნებული წიფლის უგემრიელესი წიწიბოთი. მოსახლეობა ამით ,,აპურებდა“ თავის ბინადარ ფრინველებსა თუ შინაურ ცხოველებსაც კი.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში იმატა წიფელზე კოდალების სტუმრობამ. ისინი დილიდან საღამომდე უკაკუნებდნენ ხეს თავიანთი გრძელი ნისკარტით და წიფელიც, ჩანდა, არასდროს ღალატობდა მათ, სისტემატურად ,,უმასპინძლდებოდა“ ნაირ-ნაირი მსუქანი ჭიებითა და მატლებით.

ხანდახან წიფელს ერთდროულად, 4-5 კოდალა ,,სტუმრობდა“ და კაკუნით იკლებდა არემარეს.

გვიან შემოდგომაზე, ხის სიმაღლის, ტოტების სიხშირისა და სიდიდის გამო, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალ უცხო ფრინველთა ლამაზი ,,ქარავანი“ მის ტოტებზე ისვენებდა, სულს მოითქვამდა და გზას აგრძელებდა. ეს იყო საოცარი სანახაობა...

ამ ხეზე შემომჯდარი ნებისმიერი ფრინველი სოფლელებს თავისად მიაჩნდათ და არავის აზრადაც კი არ მოუვიდოდა, რომ მისთვის თოფი ესროლა. ჩანდა, წიფელს ძალიან უყვარდა თავისი ბინადარნი და მათ უფრთხილდებოდა. ისინიც სიყვარულით პასუხობდნენ, ენდობოდნენ და გულის ნადებსაც კი არავინ იტოვებდა, ხეს ჭიკჭიკით ანდობდნენ თავის საიდუმლოს. ყველა თავისებურად აკეთებდა ამას. უცნაურია ის, რომ ამ წიფელზე არავის უნახავს მტაცებელი ფრინველი, რატომ?. ამის ახსნა არავის შეეძლო. ესეც უნიკალური შემთხვევა იყო.

წიფლის ფერდობის გაღმა, სხვადასხვა ჯიშის ხე ხარობდა, მართალია, ისინი წიფლისგან მოშორებით იდგნენ, მაგრამ მის სიახლოვეს ყოფნა ეამაყებოდათ და თვითონაც ნატრობდნენ, მასსავით დიდებული გამხდარიყვნენ, მაგრამ ამის ბედნიერება არ ჰქონდათ, რადგან ხის მჭრელების ეშინოდათ. თავის მხრივ, წიფელს გულს უკლავდა ნაჯახის კაკუნი და ხერხის ავი ხმა... თვითონ ასეთი საფრთხე არასდროს დამუქრებია, მაგრამ სხვების ბედი ძალიან აწუხებდა.

ამბობენ, ხეებს რომ ტირილი შეეძლოთ, ხის მჭრელებს ცრემლების ნიაღვარი წალეკავდაო.

,,ხეს ადამიანივით და კიდევ უფრო უკეთესად გაეგება ყველაფერი. ადამიანზე ლამაზად და უკეთესად სიკვდილიც შეუძლია და სიცოცხლეც. სიცოცხლე ხომ იცის და იცის უკეთესი“, ბრძანებდა ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი თავის ნაწარმოებში ,,დათა თუთაშხია“.

ზომლეთის წიფელიც, სწორედ, ასეთი ხეების რიგს მიეკუთვნებოდა. იგი ფოთლების შრიალით ყოველთვის თანაგრძნობას გამოხატავდა გარშემომყოფთა მიმართ, არიგებდა მათ: ,,ვიდრე ტყის შვილობის სურვილი ცოცხლობს ჩვენს გულებში, არც დედამიწა გაგვიმეტებს და არც გამჩენიო“.

თურმე, ხეებსაც სცოდნიათ ლოცვა. წიფელი სისტემატურად ლოცულობდა მოძმეებზე, საკუთარი ტოტების წიაღში დაბუდებულ ფრინველებზე, განუყრელი მეგობრის - კამკამა წყაროსთვის და მინდორ-ველებში არსებულ მცენარეულობებზე.

...წიფელს ძალიან უყვარდა ღამის საუბრები წყაროსთან. ვინ იცის, რამდენი გასაჭირის თუ ლხინის მომსწრენი ყოფილან წიფელი და წყარო. რამდენი საიდუმლო გაუგიათ და შეუნახავთ. ღამით მარტო დარჩენილი ხე ფოთლების შრიალით, წყარო კი რაკრაკით ერთმანეთს უზიარებდნენ დარდსა თუ სიხარულს. მერე, როგორც ამბობენ, ,,ერთი ძილით წყალსაც წაეძინებაო“და, წყაროსაც რომ მიეძინებოდა, წიფელი უკაცრიელი სიჩუმით ტკბებოდა.

მაშინ, როცა ფრინველთა გადაფრენა დამთავრდებოდა, ხეზე მობინადრე ფრინველებიც, გამოსაზამთრებლად, დროებით მიტოვებულ ბუდეებს მიაშურებდნენ და ხეს შერჩენილი ბოლო ფოთოლიც, უკანასკნელი მოჰიკანივით, ფარფატით დაეშვებოდა მშობელ მიწაზე და წიფელიც ღრმა ძილს მიეცემოდა გაზაფხულამდე, აი, სწორედ, იმ დღეს, მეგობრები კეთილი სურვილებით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს იმ იმედით, რომ წიფელი გამოღვიძების შემდეგ, კვლავ ცხოვრების ჩვეულებრივ რეჟიმს დაუბრუნდებოდა.

წიფლისა და წყაროს მოპირდაპირე მხარეს, მომცრო ღელეს გაღმა, სულ



რაღაც 70-ოდე მეტრში, მდებარეობდა სოფელ ზომლეთის მესაქონლეობის ფერმა, რომელიც სამასამდე სულ მსხვილფეხა საქონელს იტევდა.

მესაქონლეობის ფერმა ხუთი შენობა-ნაგებობისაგან შედგებოდა და ყველა მათგანს სასმელი წყალი ლითონის მილებით მიეწოდებოდა, დაახლოებით 150-მდე მეტრით დაშორებული წყაროდან, რომელიც საუკეთესო თვისებებით ხასიათდებოდა და ფერმაშიც თვითდინებით შედიოდა. ამის მიუხედავად, ფერმაში ყოველდღიურად მომუშავე ადამიანები სასმელად ყოველთვის მაინც წიფლის წყაროს წყალს იყენებდნენ, რომელსაც სხვადასხვა სახისა და ტევადობის ჭურჭლით ეზიდებოდნენ.

მდინარე სუფსის ორივე მხარეს გადაჭიმულ სოფელ ზომლეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მომუშავე ადამიანები, რომლებიც, ძირითადად, სიმინდის ყანების დამუშავებით იყვნენ დაკავებული, სასმელ წყალს ყოველთვის ,,იაგორის საცივიდან“ ეზიდებოდნენ. შუადღისას თაკარა სიცხის დროს, ბევრი მათგანი, სწორედ, წიფლის ქვეშ აკეთებდა შესვენებას, სადაც ენამოსწრებული გურულები ათასნაირ ამბებს ყვებოდნენ. შუადღის შესვენება, პაპანაქება სიცხის გამო, ზოგჯერ სამი-ოთხი საათი გრძელდებოდა. უზარმაზარი წიფლის ქვეშ შეფარებულ გლეხებს აქ ყოველთვის სასიამოვნო, გრილი ნიავი ხვდებოდა, რაც წიფლისა და წყაროს ჰარმონიული ურთიერთობით იყო გამოწვეული.

აქვე ისვენებდა სოფელ ზომლეთის ყველა ახალგაზრდა, ვინც კარგ ამინდში, თითქმის ყოველდღე მდინარე სუფსის პირას მდებარე საფეხბურთო სტადიონზე იყრიდა თავს.

ცივი წყაროც ძველებურად მოჩუხჩუხებდა და ზამთარ-ზაფხულს რატომღაც ყოველთვის ერთი და იგივე ტემპერატურა ჰქონდა. იგი არასდროს იყინებოდა. სწორედ, ამის გამო, ყველა მოწიწებით ეპყრობოდა წიფელს და მის ძირში მორაკრაკე წყაროს.

ზამთარში გაშიშვლებული უზარმაზარი ხე გრანდიოზულ, მონოლითური ქანდაკების ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ტოვებდა და საოცარი სანახავი იყო! ცივ ზამთარში, თოვლი ხის ტოტებს რომ დაფარავდა, მის შემხედვარეს თოვლიანი მწვერვალის ასოციაცია გაგიჩნდებოდათ!

ვინ იცის, რამდენი გასაჭირის თუ ლხინის მომსწრე ყოფილა ეს წყარო და წიფელი! რამდენი საიდუმლო გაუგიათ და შეუნახავთ. რამდენ გამვლელ-გამომვლელს მოუკლავს წყურვილი, მოუოხებია გული და შინ დასვენებული და დარდისაგან განტვირთული წასულა. ალბათ, რა მტკივნეული იქნებოდა მათთვის იმ დაუდევარი ახალგაზრდების საქციელი, რომლებსაც ხის ტანზე ბასრი საგნით ამოტვიფრული არაფრისმთქმელი წარწერები დამღად, რომ დაუტოვეს საუკუნოდ.

წიფელის გამოღვიძების შემდეგ გაზაფხული იწყებოდა სოფელ ზომლეთში.

ალბათ, ძნელი იქნება ამ ხნის (სამი საუკუნე) ხის პოვნა საქართველოში! როგორც ვიცით, მხოლოდ ძელქვა, მუხა და ჭადარი ცოცხლობს სამას წელზე მეტ ხანს. მაგრამ ზომლეთის წიფელი იშვიათი გამონაკლისი იყო!

ალბათ ვერც ერთი აქაური პეიზაჟი ვერ ხიბლავდა ადამიანს ისე, როგორც ეს მიდამო - იაგორ მგელაძის საკარმიდამო ნაკვეთის ფერდობის ძირში აშოლტილი ეული უზარმაზარი ხე!

გადიოდა დრო, რომ იტყვიან, ხან წვიმდა, ხან თოვდა, ხან მცხუნვარე მზე წვავდა მიდამოს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ წიფელს ხანდაზმულობისაგან ნელ-ნელა ტოტებიც ტყდებოდა და დრომ მეხსიერებაც წაართვა, იგი მაინც ჯიუტად მყარად იდგა და იდგა!

მაგრამ, გამოხდა ხანი და ბუნება, სტიქია, უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ეს უნიკალური, შეუდარებელი ხე, თითქოს, უსულო, მაგრამ ძლიერი, დიდმა თოვლმა ძირში გადატეხა. ამბობენ, თითქოს მძინარე ხეს საოცარი კვნესა აღმოხდა. ნელ-ნელა გადაწვა, მერე მტვრევის ხმა, ხრჭიალი გაისმა და განესვენა!

სიკვდილი შეუძლებელია ლამაზი იყოს, მაგრამ ეს წიფელი ნამდვილად ასე მოკვდა: მოწყვეტით კი არ დაეხეთქა მიწას, არამედ ნელა, მშვიდად მიწვა!

გვინახავს ადამიანის ხელით მოჭრილი მორადქცეული ხეები, მაგრამ წიფელი, გადატეხვის შემდეგ, რაღაც უცნაურ სანახაობად ქცეულიყო, რომელსაც ვერც მორს უწოდებდი და ვერც კუნძს.

სხვა ხეები მისგან საკმაოდ მოშორებით იდგნენ, მაგრამ წიფელი ეამაყებოდათ და თვითონაც ნატრობდნენ, მასავით დიდებული გამხდარიყვნენ. როცა კვნესა გაიგონეს, გლოვის ზარი ჩამოჰკრეს. იდგნენ გარინდული და სულგანაბული. შემდეგ, თითქოს, ძლივს ამოისუნთქეს და წყაროს მიუსამძიმრეს...

...ამ ორიოდე წლის წინ კვლავ ვესტუმრე ჩემს მშობლიურ სოფელ ზომლეთს. გვიანი შემოდგომა იდგა და ხეები უკვე გაძარცვულიყო. ამიტომ, სოფლის შესასვლელიდანვე, რაღაც უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა: გარემო იერშეცვლილი მომეჩვენა... წარმოიდგინეთ ჩემი მწუხარება და იმედგაცრუება, როცა სულისშემძვრელი სურათი დამხვდა. წინა წლის დიდთოვლობას, ულამაზესი ბებერი წიფელი ზედ ძირში გადაეტეხა!

გაოგნებული ვუცქერდი დაცარიელებულ არემარეს. მოსახლეობას წიფელის ის ნაწილი, რომლითაც სავალი გზა იყო ჩახერგილი, შეშად დაუმუშავებია, ხოლო მისი ვეებერთელა ტანის ნაწილი, რომელიც ღელეში ჩავარდნილა, საცოდავად იქ ეგდო...

,,ხეებს ლაპარაკი ესმითო“, - მიაჩნდა ბუნების მესაიდუმლე დიდ მგოსანს ვაჟა-ფშაველას. იმასაც ხომ ამბობენ, ,,ხეები ზეზეულად კვდებიანო“. აი, ჩვენი წიფელი კი სულ სხვანაირი სიკვდილით მოკვდა...

უაღრესად დანაღვლიანებული, თვალცრემლიანი მივედი წიფლის გადამტვრეულ ძირთან, რომე¬ლიც, თითქოს დარცხვენით მიმზერდა და თვალს ვერ მისწორებდა. თვალი შევავლე წყაროს და მომეჩვენა, რომ თავს დამნაშავედ გრძნობდა, რადგან თოვლთან ერთად წყალმაც თავისი როლი შეასრულა წიფლის ფესვების ძირის გამოთხრაში...

მომეჩვენა, თითქოს ცხარე ცრემლით ტიროდა წყარო, როცა განუყრელი და ერთგული მეგობრის დაკარგვის ამბავს ,,ჰყვებოდა“. ალბათ, ამიტომაც ახლა უფრო მეტი წყალი გადმოდიოდა წიფლის ფესვებიდან, ვიდრე ადრე!

წყარო იმასაც წუხდა, რომ წიფელს ამონაყარი ნერგი არ დარჩა, რომელიც მის სიცოცხლეს გააგრძელებდა.

მე კი იმაზე ვდარდობდი, რომ დაუდევრობით ან მოუცლელობით, ამ საოცარი ხისა და დიდებული ადგილის ფოტოსურათი არ შემომრჩა... ამიტომ გადავწყვიტე,

ამ მონათხრობით მაინც ჩაიწეროს სოფელ ზომლეთის ისტორიაში საუცხოო ხისა და მისი განუყრელი მეგობრის - ანკარა წყაროს თავგადასავალი!

მეგობრობის ზეიმი

აზერბაიჯანელი მწერლის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ლიტერატურული ურთიერთობებისა და მხატვრული თარგმანის ცენტრის დირექტორის, კულტურის დესპანის აფაგ მესუდის სახელი კარგადაა ცნობილი, როგორც აზერბაიჯანში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

იმირ მამედლის მიერ თარგმნილი აფაგ მესუდის ბრწყინვალე ნოველები და პიესები შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. თავად ქალბატონი აფაგი გამორჩეულად აფასებს და პატივს სცემს საქართველოსა და ქართულ მწერლობას. მისი თაოსნობითა და ხელშეწყობით აზერბაიჯანულ ენაზე გამოიცა არაერთი ქართველი კლასიკოსისა თუ თანამედროვე მწერლის კრებული და ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ანთოლოგიები.

საქართველოს მწერალთა კავშირმა აფაგ მესუდი საქართველოში მოიწვია და მისი საიუბილეო საღამო აღნიშნა მწერალთა სახლში. საპატიო სტუმარს მიესალმა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი და ქართული ლიტერატურის აზერბაიჯანულად პოპულარიზაციისა და თარგმანებისთვის იუბილარ ქალბატონს ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია გადასცა. საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ: იმირ მამედლი, ბაღათერ არაბული, ბელა ქებურია, ზაალ ბოტკოველი, მიმოზა ცანავა, ბადრი ქუთათელაძე, რეჟისორი გოჩა კაპანაძე, მირზა ფათალ ახუნდოვის მუზეუმის დირექტორი ლეილა ალიევა და სხვები...

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრისა და ივანე მაჩაბლის სახელობის ცხინვალის თეატრის მსახიობებმა აფაგ მესუდის პიესებიდან გააცოცხლეს ეპიზოდები.

აფაგ მესუდის საიუბილეო საღამო ორი ქვეყნის - საქართველოს და აზერბაიჯანის დიდი მეგობრობის ნამდვილ ზეიმად იქცა.

მანანა გორგიშვილი

გელა ბუიღლიშვილი

ლურჯი წუთები

მე ინფანტების ნაზი კრება მაცილებს ქროლით,
ღამის ორეულს აერია მგოსნები სხვებში,
ფოთლები ხეებს ამ წელს სწყდება თითქოსდა რბოლით,
ოფელიები ოქროს გვირგვინს იწნავენ თმებში.
დღეს შეიძლება ვერ ვიპოვნო ახალი რითმა,
ლურჯი წუთები მაწამებენ ვით შათირები,
ამპარტავანნი შეიწირა რაშით ჯირითმა,
დაბლები დგანან მაღალთ გვერდით ვით ვეზირები.
და მაგონდება დღეს ვერსალი ხვეული ბნელში,
დარბაზში ჟღერენ უტკბილესი სიმფონიები,
ნაზ დამას ვარდი დაეჭირა მარჯვენა ხელში
ვერ მიველ ახლოს, რადგან მქონდა მხოლოდ იები.
გულში ამ სევდას გააქარვებს მხოლოდ ინფანტა,
მთვარიან ქუჩას მივაბიჯებ იმედიანი,
მისი ამბორი, თვალთა ცქერა მარად მიყვარდა,
სულში ფიქრები გაიფანტა შავბნედიანი.

მარიტას თვალები

მარიტას სხეულმა დამსეტყვა შორიდან,
მარიტას თვალებიც აფრქვევდა ნათელს,
მარიტა აფრქვევდა უნაზეს სხივებით
ვნებათა ამშლელ ფანტელს.
მახსოვს, პირველად რომ შემხვდა, შევხედე,
მე არ მიყურებდა ვითომ,
ამური ყოველთვის არის შემპარავი,
როგორ მიპოვნისო— ვფიქრობთ.
ჩვენ ორნი ვიდექით ლურჯი ზღვის ნაპირას,
მზემ გამოგვიგზავნა სხივი,
უფრო გაბრწყინდა და უფრო აკაშკაშდა,
სატრფოს მარგალიტის მძივი.
შენ მეყვარებიო, მჯეროდეს ბოლომდე,
გწამდეს, ერთგულება ვიცი,
მაშინ თუმც ვირწმუნე, ამ წუთას არ მჯერა,
დღეს ხშირად ირღვევა ფიცი...

ნოემბრის ვარდები

ჩემს ბაღში ხარობს ნორჩი ვარდები,
მათი სურნელი და გულის ფეთქვა.
უფრო და უფრო შემიყვარდები!-
თითქოს უნდოდა ასე რომ ეთქვა.
ნოემბრის დილას, პირველად პირველს,
შეგაგრძნობინებს უბრალო სალამს,
ათამაშდება თითები ხელის,
ხელის თითები მისწვდება კალამს...
ჩემს ნაწერებში მათზე მსურს იყოს,
რაღაც უმწიკვლო და სიმბოლური,
რომ მგოსნურ ხსოვნამ ეს ნაწერები,
აამეტყველოს, ვით სალამური.
ყვავილთ დედოფლის სამეფოს ირგვლივ
ჩასძინებიათ ყვავილებს ძილით,
რა ცუდი ძილი სცოდნიათ ნაზებს,
ვერ ადგებიან, მგონია , დილით.
ვარდი კი მეფობს არარაობას,
ნოემბრის ვარდი, ფერმილეული,
სიტურფის ალი ანთია გულში,
და ფიქრი ბორგავს, ვით მთვარეული.
გაზაფხულდება მისი სამეფო
გაიფურჩქნება, გადაშლის მკლავებს,
მაგრამ მაისის იქნება ვარდი,
ნოემბრის ვარდი ცრემლს ვერ იკავებს.
ნოემბრის ვარდო, გაქვს გულსაწყვეტი?!
შენ ხომ განლიე დრო სასახელო?
გაზაფხულდება და სხვა იქნება,
მაისის ვარდებს დაუთმე მდელო....

რუსუდან გოგბერაშვილი

თანამედროვე ნატურმორტი

მრუმე შეღამების ცაიტნოტი
ფიქრის აბრეშუმებს აშრიალებს;
შემოეკვირტება ნატურმორტი,
წვიმის შემდეგ მოსულ მარიალებს.

ზამთრის სერებზე რომ მზე მოკვდება,
ისე მოუკვდები დღეს, ზარიანს,
ვიღაც ცრემლის გუბეს მარილს ურევს,
ვიღაც ამბავს იტყვის თავზარიანს.

თუ რამ გიყვარდა და თუ რამ გწამდა
ლეთამ ჩაიყოლა წუთისოფლის, ელი,
პირობითებს ითვლი წამთა,
სიცოცხლისთვის ღონე აღარ გყოფნის.

ცხოვრება სიტყვების თამაშია,
შეჯიბრი რითმის და სინონიმთა,
ბრძოლა გადამწყვეტი ბაზარშია,
სამშობლოს ევაჭრები მთავარ ნივთად.

დიახ, ყველაფერი გადაფასდა,
სისხლის დაღვრას გოიმობად თვლიან,
ახლა, სამშობლოთი ფულის შოვნას
ინვესტიციების პოვნა ჰქვია.

დარდობ და ფიალას ცრემლით ავსებ,
უკვე ხედავ ბოლოს აღსასრულის,
თავისუფლებაზე მოკალმასეს
სუნთქვის უფლება გაქვს დაკარგული.

ყოფას ვირტუალურს ეჭიდები,
იქნებ, იქ იპოვნო ცოდვა-მადლი,
სანამ ჭრელ შუშაში იხედები,
ქვეყნის ჩამოგაჭრეს ბოლო ადლი.

ჩემი აკროპოლი

აქ, მზე ყამარს გრძელ დალალებს ვარცხნიდა,
ამხნევებდა თბილისს, დაღლილს ომით
და ღვთისმშობლის ცრემლით სავსე ვარცლიდან
ზღვად დიოდა ჟინი მტერთან ბრძოლის.
ახლა, როცა სული შემოგვძენძია,
ლეშს დავათრევთ და ვკანკალებთ ძრწოლით,
ეს ქვეყანა კვლავ ბოროტის კერძია,
ბელზებელი ვეღარ ძღება მძორით,
თავს დამყურებს მატიანე ქართველთა,
ეს სიმაღლე, ღმერთო, როგორ შვენის,
ვით შუქურა, მოსჩანს ჩემი სარკმლიდან
ყეენის მთა - აკროპოლი ჩემი.

ლექსი

წამწამდახამხამებით ჩააქროლეს წამებმა
ლექსი სულის სასჯელი, ლექსი სულის წამება.
სტრიქონ-სტრიქონ დაჰქრიან სიტყვის მუეძინები,
ღამეს ნამქრულფიქრიანს სანამ მიეძინება.

ლექსო, მომიარაკე გატეხილი ღამისა,
მთაში მოიალაღე პირშებურულ მთვარისა.
წამის დაწამწამებით ერთხელ გამოანათებ,
ცეცხლად აყირმიზდები, ფიქრებს გაალამაზებ.

როგორც ღამის პეპლები შუშებიან დარაბებს,
ისე მიმოაწყდები სულის კუთხე-დარბაზებს.
ერთ ნაპერწკლად იელვებ, მერე ისე ჩაქრები,
აღარასდროს არ დაწერ მოკალმასე ბარათებს.

მაგრამ შენ არ დაცხრები, როცა დაგამუნჯებენ,
როცა გამოგკეტავენ პირქუშ საპყრობილეში;
სიტყვათჭირისუფლები გულში დაგაუნჯებენ
და იქ აჩახჩახდები, ვით მზის სხივი დილეგში.

დრო გავა, შენს ლოდინში დააწყდებათ თვალები
დაობლებულ ბავშვივით თვალცრემლიან ქალაქებს;
შენ კი მაინც ბორგნეულ მდინარეებს გაჰყვები,
მაინც იჩურჩულებ და მაინც ილაპარაკებ.



ჯემალ კუხალაშვილი - 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი შემოქმედი ჯემალ ოთარის ძე კუხალაშვილი ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ჯემალ!

ჩვენო საყვარელო კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან მრავალწახნაგოვან დიდებულ შემოქმედს - მხატვარსა და პოეტს, პატიოსნებითა და ნიჭიერებით გამორჩეულ პიროვნებას და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

ფართო საზოგადოება, უპირველეს ყოვლისა, გიცნობთ, როგორც გამორჩეულად ორიგინალური ხელწერის მქონე ფერმწერს, რომელიც ქართული სახვითი ხელოვნების დიდი ტრადიციების ერთ-ერთ ბრწყინვალე გამგრძელებლად მოიაზრება. როგორც მხატვარი არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი თუ გრან-პრის მფლობელი ხართ. სამშობლოსა თუ უცხოეთში მრავალი გამოფენა გაქვთ მოწყობილი და თქვენი ტილოებით მოგიხიბლიათ ხელოვნების ამ უმშვენიერესი დარგის ნიუ-იორკელი და სანკტ-პეტერბურგელი, ჩიკაგოელი და მოსკოველი, სიეტლელი და მადრიდელი მრავალისმნახველი და უაღრესად მომთხოვნი თაყვანისმცემლები. თქვენს მიერ შექმნილი ტილოები ინახება სხვადასხვა ეროვნულ მუზეუმებსა თუ გალერეებში, აგრეთვე კერძო კოლექციებში. გვიხარია, რომ თქვენ, დამდგმელმა მხატვარმა, მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდეთ ქართული კინოს აწ უკვე კლასიკად ქცეულ მხატვრული ფილმის „სამანიშვილის დედინაცვალის“ შექმნას...

თქვენი, როგორც ფერმწერის, კიდევ ერთი წონად აღიარებად იქცა ის ფაქტი, რომ საქართველოს თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმში დაგეთმოთ მუდმივმოქმედი საგამოფენო პერსონალური დარბაზი. უკრაინის კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით კი შეგიყვანეს გინესის წიგნში.

ნიჭიერი კაცი ყველაფერში ნიჭიერიაო და თქვენმა ნიჭმაც საკუთარი წონადი სიტყვა პოეზიაშიც თქვა.

პოეზიის საუფლოში პირველად 2003 წელს შეაბიჯეთ, როდესაც ჟურნალ „ორბეთში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები. მას შემდეგ ისინი პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო პერიოდიკაში. ამ ლექსებმა, რომლებმაც დაივანა ისეთ პოეტურ კრებულში, როგორიცაა „მე არა“, სრულად წარმოაჩინა თქვენი პოეტური ძალმოსილება, სრულად დაიტია თქვენი სულის იდუმალ ხვეულებში გამომწყვდეული ვნებანი, ზმანებანი თუ ხილვები, ღაღადისი სამშობლოს ბედზე დაფიქრებული პოეტისა. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს თქვენს ლექსებში ბიბლიური პერსონაჟები დაბიჯებდნენ და თქვენც ერთი იმათგანი იყოთ, მომსწრე და თვითმხილველი საოცარი მისტერიებისა. თქვენს სულში ხომ უმადური წარსული ტირის, რადგანაც გრძნობს, რომ თუ ასე გაგრძელდა ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის არსებობა, სამუდამოდ დაშრება მამა-პაპეული წმინდა მირონი და ქართველობა - სამსხვერპლოზე მიტანილი ქათქათა ბატკანი საუკუნეთა უღრანებში ჩაიკარგება. ვინ სად წაუვა უჟამო ჟამის მდინარებას, მაგრამ მაინც არ ნებდებით და იბრძვით, ებრძვით ეშმას და სატანას, ებრძვით სიცრუეს და გაუტანლობას, უსამართლობასა და ორპირობას...

თქვენი ალბომები „ჯემალ კუხალაშვილი“ და „მე, კუხალა“ თქვენი მრავალმხრივი ნიჭიერების კიდევ ერთი უცხადესი დადასტურებაა.

ბატონო ჯემალ!

გვიხარია, რომ თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა საქართველოს ეროვნული პრემიით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ აგრეთვე გალაკტიონ ტაბიძის სახელობის, „ივერიის“ პრემიები, ქართული კულტურის რაინდის წოდება, დაჯილდოებული ხართ ქართველთა უპირველესი მეფის დავით აღმაშენებლის ოქროს მედლით.

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დღეგრძელობასა და მზეგრძელობას თქვენი სამშობლოს სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი

თამარ ფარჩუკიძე - 60

60 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და მეცნიერი თამარ ფარჩუკიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო თამარ!

ჩვენო საყვარელო კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან მრავალწახნაგოვან შემოქმედსა და სწავლულს და გილოცავენ დაბადების 60 წლისთავს.

„სამშობლო“ ერქვა თქვენს პირველ ლექსს, რომელიც სრულიად ნორჩმა გამოაქვეყნეთ გაზეთ „ნორჩი ლენინელში“. ეს ლექსი საოცრად სიმბოლური აღმოჩნდა თქვენთვის და დაბეჯითებით უნდა განვაცხადოთ, რომ მთელი თქვენი ცხოვრება სამშობლოს უანგარო, უებრო და ერთგული მსახურების ნიმუშს წარმოადგენს.

უაღრესად პრინციპული და მომთხოვნი ბრძანდებით საკუთარი თავისადმი და ეს ცხადად წარმოჩინდა თქვენს პოეტურ კრებულში „ხმა სამრეკლოდან“. ამ კრებულში სრულად გაცხადდა თვენი პოეტური თვალსაწიერის ჰორიზონტების მრავალსახეობაცა და ძალმოსილებაც. ამ კრებულის ლირიკული გმირი ხომ თქვენი სულის სიმების მისტერიის თანაზიარს გვხდის და დაგვაფიქრებს საწუთროზე. ადამიანის დანიშნულებასა თუ როლზე ჩვენს ფეთქებად საშიშ დღევანდელობაში, ამაოებაზე ამაოთა. მკითხველს სთავაზობს ლექსებს, ჩუქურთმასავით გალობას თუ გალობასავით ჩუქურთმას რომ წარმოადგენს. ამაყობს, ქართველად და საქართველოში დაბადება რომ არგუნა არსთაგამრიგემ და ყველაფერს აკეთებს, რათა წინაპართა სულებთან მიახლების უფლება მოიპოვოს. ამაყია იმიტომაც, რომ სრულად აქვს გასიგრძეგანებული რომ მის ფესვებს ის ღვთაებრივი კვართი იცავს და ათბობს, უკანასკნელად რომ ემოსა შემოქმედს ჩვენსას. რაღაც მეექვსე გრძნობით გრძნობს, რომ ანგელოზებს ხელი აქვთ ჩაკიდებული მისთვის და ეხმარებიან უღრან, გაუვალ ტყეებად ქცეულ საწუთროდან თავის დაღწევაში. ნებისმიერ თანამოძმის სულში ეძებს უფალს, რაც არ უნდა ცოდვით დაცემული იყოს იგი. დიდი ხნის წინ მიმხვდარა, რომ თუ მისხალ-მისხალ, წვეთ-წვეთად ჩავეშენებით ჩვენს საესავ სამშობლოს, საქართველო გაბრწყინდება და ღმერთის რჩეულ შვილად იქცევა...

თქვენი შემოქმედებითი საქმიანობა ორგანულად უკავშირდება თქვენსავე პროფესიულ მოღვაწეობას და მის ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს. ისტორიკოსი ბრძანდებით. ისტორიის დოქტორი და გატაცებით იკვლევთ ჩვენი სამშობლოს წარსულს, მის უძველეს ფოლიანტებს. „შუა საუკუნეების საქართველოს განათლების ისტორია“ - ასე ჰქვია თქვენს უდავოდ საყურადღებო ნაშრომს. რა საოცარი ალღოთი შეამჩნიეთ მსგავსება გელათისა და პეტრიწონის მონასტრების ბარელიეფურ კომპოზიციებს შორის, რამაც მიგიყვანათ უმნიშვნელოვანეს დასკვნამდე, რომ ეს სიმბოლო - კომპოზიციები დასტურია იმისა, რომ გელათისა და პეტრიწონის აკადემიებში უძველესი საერო-საკაცობრიო სიბრძნისა და საღვთისმეტყველო ცოდნის ჰარმონიზაცია მოხდა მაშინ, როდესაც შუა საუკუნეების დასავლეთის ქრისტიანობას ჯერ კიდევ კანონგარეშედ ჰქონდა გამოცხადებული ანტიკური სიბრძნე...

თქვენ წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდით მცხეთის ახალგაზრდობას, იყავით უდედმამო ბავშვთა სახლის დირექტორი, თბილისის 114-ე საშუალო სკოლის პედაგოგი...

თქვენს ჯილდოებს შორის გამორჩეული ადგილი უკავია „შოთაობის“ გრან-პრის.

ქალბატონო თამარ!

თქვენ ჩვენთვის მუდამ ქალური კდემამოსილების, სინაზისა და ადამიანური მშვენიერების გამოხატულებად მოიაზრებით.

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს საყვარელ კოლეგას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და სრულად დახარჯვას ქვეყნის სამსახურში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

მაია დიაკონიძე - 60

60 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი საბავშვო მწერალი მაია იოსების ასული დიაკონიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო მაია!

ჩვენო საყვარელო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ქართველი ბავშვების გულთა მეესაიდუმლეს, მრავალწახნაგოვან შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 60 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე ამ ათიოდე წლის წინ გადადგით, როდესაც „მწერლის გაზეთში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები. მას შემდეგ თქვენი ქმნილებანი - ლექსები, ზღაპრები, მოთხრობები, ესსეები, ნახატები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად, იფინება სამხატვრო გამოფენებზე.

თქვენი საბავშვო ლექსების, ზღაპრების, მოთხრობების, გამოცანების კრებულები „იოცნებეთ ყველამ“, „ფანქრის მთლელი“, „მხიარული ანაბანა“ შეიყვარეს ქართველმა ბავშვებმა და ეს სულაც არ არის შემთხვევითი. ამ კრებულებიდან ხომ მათ მათზე მზრუნველი და მოსიყვარულე მწერალი ესაუბრებათ და ასწავლის სიკეთის, სათნოების, ერთგულების, სიყვარულის ანაბანას, ზრდის ქვეყნის ჭეშმარიტ მოქალაქეებად.

ლირიკული ლექსების კრებული „კოცნას მიგზავნის იასამანი“ თქვენი პოეტური ძალმოსილების მშვენიერი გამოხატულებაა.

თქვენი ლექსები შეტანილია ისეთ მნიშვნელოვან გამოცემებში, როგორიცაა ქართული პოეზიის ანთოლოგიის ორტომეული, ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია „შენ ხარ ვენახი“, დავით აღმაშენებლის წინამძღოლობით დიდგორის ომში ძლევამოსილი გამარჯვების 900 წლისთავისადმი მიძღვნილი პატრიოტული ლექსების კრებული„ დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს“...

თქვენი შემოქმედებითი საქმიანობა სათანადოდ აღინიშნა. მოგენიჭათ „შოთაობის“ პრემია (2), „ბერიკონის“, „ბუკნაჭოს“, შიო მღვიმელის პრემიები, წმინდა ნინოს ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის მედალიონი, დაჯილდოვდით ჟურნალ „ანეულის“ რევაზ ინანიშვილის სახელობის კონკურსის სპეციალური პრიზით.

ამავე დროს მეტად საინტერესო ფერმწერად გვევლინებით და მონაწილეობთ ქართველ მხატვართა ჯგუფურ გამოფენებში. თქვენი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრის, რამდენიმე ნახატი შეტანილია საგამოფენო კატალოგებში.

პროფესიით ეკონომისტი ბრძანდებით და სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის და ეკონომიკის კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ჟურნალ „ფინანსებისა“ და გაზეთ „გადასახადების“ ეკონომიკურ მიმომხილველად, კითხულობდით ლექციებს ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ინსტიტუტში. ხართ 20-ზე მეტი სამეცნიერო შრომის და სტატიის ავტორი.

ქალბატონო მაია!

თქვენ ჩვენ იმ ბრონწულის ყვავილს გვაგონებთ, ბზობის მადლით ავსებული თვალსაც რომ გვიტკბობს და გულსაც.

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და შემოქმედებით წინსვლას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჯემალ შონია - 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ჯემალ ბიქტორის ძე შონია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო ჯემალ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, მოღვაწეს, პიროვნებას და გილოცავენ დაბდების 75 წლისთავს.

თქვენ ქართველ პოეტთა იმ რაზმს ეკუთვნით, რომელიც აფხზეთში - საქართველოს ამ ძირძველ უმშვენიერეს კუთხეში დაფრთიანდა და ეზიარა ქართული ლექსის მადლსა და მირონს.

დიახ, თქვენი სამწერლო დებიუტი აფხაზეთში შედგა 1965 წელს, როდესაც სოხუმში გამომავალ გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „სასახელო რაინდი“. მას შემდეგ თქვენი ლექსები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

„თეთრი და ცისფერი“, „ხსოვნის სარკე“, „მთვარის ქვა„, „აფხაზეთში დაკრეფილი გვირილები“, „ბესლეთის ხიდზე წარწერილი“, „წაუკითხავი“, „შენს საპოვნელად“ - ეს პოეტური კრებულები თქვენს სავიზიტო ბარათებად იქცა, რომლებმაც ქართველი მკითხველის გულწრფელი მოწონება და აღიარება მოიპოვა.

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი ერთი გულანთებული ქართველია, რომელიც მზადაა უსახელო უფლისციხელივით საკუთარ ზურგზე მიიღოს მისი სამშობლოსათვის დამიზნებული მირიადი ისარი, მიიღოს შვებით და სიხარულით, ოღონდ გადარჩეს მისი საესავი ივერთა მიწა... გულით დაატარებს ცრემლის თვლებით შემკობილ ილორის, ბედიისა თუ წალენჯიხის ხატებს, რადგან იცის, რომ სწორედ ამ ხატებიდან ისე ამონათდება სულიწმინდის ნათელი, როგორც დილის ნისლიდან ბობოქარი და დაუმორცილებელი ენგური... იმაზე ოცნებობს, რომ ოდიშის მკერდზე კალმახებით გადაწინწკლულ მდინარედ დაიხატოს, სული მარადიული სევდით აქვს სავსე და ზეცაში იმ ვარსკვლავს შესტრფის, სამშობლოს ფერი რომ აქვს და საიდანაც სისხლისფერი შუქი ასპეტაკებს დიდგორისა და კრწანისის სანახებს...

თქვენი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი ალექსანდრე პუშკინის, ალექსანდრ ბლოკის, ანა ახმატოვასა და სერგეი ესენინის ცალკეულ ლექსებს.

ღრმა, რთული და მეტად საინტერესო ცხოვრებისეული გზა განვლეთ დღევანდლამდე.

სხვადასხვა დროს მუშაობდით გალის რაიონული გაზეთის „სათანჯოს“ პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „იბერია - სპექტრის“ კორესპონდენტად და პასუხისმგებელ მდიავნად, გაზეთების „ეროვნული თანხმობისა“ და „თვალთის“ რედაქტორად, ჟურნალ „მწერლობა-XXI“ პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „მიჯნის“ რედაქტორად. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან აქტიურად ჩერთეთ ეროვნულ-განამათავისუფლებელ მოძრაობაში, იყავით დამოუკიდებლობამოპოვებული საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი და სამოქალაქო უფლებების ქვეკომისიის თავმჯდომარე და იმ რჩეულთა შორის მოიხსენიებით, ვინაც ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლოსი აღდგენის აქტს.

გვახარებს, რომ თვენი მრავალწლიანი ღვწა გიორგი შარვაშიძისა და გიორგი ჭყონდიდელის სახელობის პრემიებით აღინიშნა.

ბატონო ჯემალ!

კიდევ ერთხელ გულითდად მოგილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ღირსეულ დაბრუნებას თქვენს მშობლიურ სანახებში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

მადლიანი და კეთილი შთამომავალი...

გრიგოლ რობაქიძე ღვთიური არსის სისხლ-ხორცეული განცდით აზროვნებდა, წერდა და მამულისთვის თავდადებით მოღვაწეობდა. მან პირველმა სამშობლოს მითოლოგიურ-ზეისტორიული ყოფა, მისი ეპიკური ცოცხალი არსობა, ანუ ქართველთა „თვითობა“ და „მსოფლარსი“ გაიტანა ევროპაში, საიდანაც იგი გავრცელდა მსოფლიოში. ევროპამ მისი მრავალმხრივი უზადო შემოქმედებისთვის ბატონი გრიგოლი, საქართველოდან რუსთაველის შემდეგ, მეორე კლასიკოსად გამოაცხადა.

მე როგორც გრიგოლ რობაქიძის მკვლევარს და მისი საზოგადოების დამფუძნებელს მიმაჩნია, ბიბლიურ ენაზე მოუბარი „გველის პერანგი“ არის ქართული პროზა - პოეზიის ფილოსოფიური შერწყმის და ახალი ქართული ლიტერატურული წყობის განვრცობის უსასრულობა. მისი ხარისხიანი ფაბულა, სათაური და დედა-აზრი ძალიან ახლოა „ვეფხისტყაოსანთან“...

გრიგოლ რობაქიძე პირუთვნელი და ამაყი საკუთარი თავის წინაშე, იყო ჯანსაღი ანალიტიკოს - დიდაქტიკოსი, ელვარი „სიცეცხლით“ მიაგებდა პატივს წარსულის დიდებას და გმირებს. მუხლმოდრეკილი იდგა „საქართველოს მიწის საკურთხეველთან“, ასევე დავით აღმაშენებლის, თამარის და რუსთაველის უძლეველობის წინაშე. უსასრულო იყო მისი ემიგრაციიდან მამულისკენ ლტოლვა და ლიტერატურული მოღვაწეობა. არვის პატიებდა სამშობლოზე ერთ გადახრილ მცდარ მსჯელობას. ამას ადასტურებს მისი აუწონადი ესეისტიკა, დრამები და მისტერიები. ცალკე დიდების ღირსია მისი მოდერნიზმი და ისიც, რაც ციურიხის არქივში ინახება გაუხსნელი: საუბარია 36000 ერთეულ ნაშრომზე, რომელზედაც თავად გრიგოლი აღნიშნავდა, ჩემს შემოქმედებას ათასწლეულებიც ვერ დასძლევსო. იმის მაგალითად, ბესიკ ადეიშვილის თარგმანის ორი მისტერიაც: „მტევანნი ჟანნა დ) არკ - ისა წილ“ და „ჰიმნი ორფეოსისადმი“არის საკმარისი, თუ როგორ დუღდა და იწვოდა გრიგოლის გულში საყვარელი - საკრალური სამშობლო და მისთვის რამდენ უჩინარ სასარგებლო და მისაბაძ საქმეს აკეთებდა ევროპიდანაც.

გრიგოლ რობაქიძე საუკუნის წინ ევროპიდან გვინათებდა დემოკრატიის შუქურას დევიზით: „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“ და იქედან ევედრებოდა უფალს საქართველოს „გრალის მცველთა“ გადარჩენას. მართლაც, ვიდრე გრიგოლ რობაქიძის სიტყვა და საქმე იცოცხლებს, ასევე გიორგი შხვაცაბაიას მსგავსნი, შემოქმედი-ხელოვანი ეყოლება საქართველოს, მანამ სამშობლოს „გრალის მცველნი“ არ დაელევა.

მადლობა დღევანდელობას, რომელმაც გრიგოლ რობაქიძის საზოგადოებას, ერთერთი მთავარი მიზანი შეუსრულა. კერძოდ, ქალაქ თბილისის მერიამ, კულტურის სამინისტროსთან ერთად გრიგოლ რობაქიძის ხსოვნის პირველი, სამაგალითო დეტალი უკვდავყო. გრიგოლ რობაქიძისადმი მიძღვნილმა უმაღლეს დონეზე შესრულებულმა ბიუსტმა, გამოქანდაკებულმა ქვეყანაში თვალსაჩინო მოქანდაკე - გიორგი შხვაცაბაიას მიერ, ბინა დაიდო გრიგოლ რობქიძის სახელობის სკვერში, მისივე სახელობის გამზირზე პირველ ნომერში - დიდუბის ხიდის მიმდებარედ. გარდაცვალებიდან სამოცი წლის თავზე. სადაც ბატონ გრიგოლის ძეგლი აღიმართა, როგორც საქართველოს მარადიულობის ნიშანსვეტი.

გრიგოლ რობაქიძის ბიუსტის არსებობისა და მისი დადგმის მოთხოვნის იდეა-მიმართულება მოგვცა, საზოგადოების გამგეობის წევრმა, გამოჩენილმა მხატვარმა და პროზაიკოსმა ბატონმა რეზო ადამიამ და, შეიძლება ითქვას: გრიგოლ რობაქიძის საზოგადოების წევრთა, მემკვიდრეთა და გიორგი შხვაცაბაიას ერთობლივ სულთა თანხვედრა-შეძახილში: „გრიგოლ რობაქიძე ცოცხალია“ ილანდებოდა და იძერწებოდა ბიუსტის დიდი შემოქმედებრივი სახე, რომელმაც სამოქალაქო საზოგადოების ღრმა აღტაცება გამოიწვია. ახალა ვხედავთ ევროპულ-დემოკრატული სტილით შექმნილ ძეგლს და მის გამომეტყველებაზე ვკითხულობთ ამ ორი დიდი ხელოვანის სულისმიერ ნათესაობას. თუმცა, არც ეს არის გასაოცარი, ორივენი ხომ „ქართული გენიით მადლმოსილი... იმერეთის მიწის და მზის“ შვილები არიან. უფრო მეტიც, ასეთ თანხვედრაში აღმოჩნდნენ მათი გენიალური ნაშრომნიც ევროპაში: ბატონ გრიგოლის მხრით - ქართული აზროვნებით და სიტყვითი თვალ-მარგალიტებით, ხოლო გიორგის მხრიდან ატქიტექტურულ-სახვითი ხელოვნებით.

ბიუსტის დადგმის ცერემონიალი - 2022 წლის 19 ნოემბერი სახალხო ზეიმად იქცა, რომელიც გულითადი სულისკვეთებით აამაღლა და გაალამაზა ქართულმა ელიტარულმა საზოგადოებამ ბადრი ქუთათელაძის ხელმძღვანელობით. ბიუსტის დადგმის სიღრმისეულ მნიშვნელობაზე დაუვიწყარი სიტყვები არ დაიშურეს: ოთარ კვესიტაძემ, ვალერი ასათიანმა, მაყვალა გონაშვილმა, დავით შემოქმედელმა, ლადო კახაძემ, მიმოზა გამრეკელაშვილმა, გია ჯაფარიძემ და სხვებმა. საღამო გახსნა ქალაქ თბილისის ვიცემერმა ბატონმა ანდრია ბასილაიამ.

2022 წლის 19 ნოემბერი, ოქროსფერი შემოდგომის დღე ისტორიაში შევა, როგორც ქართველთა მადლიერებისა და სიკეთის დღე, ვინაიდან საუკუნის წინ, სანუკვარ მამულს იძულებით მოწყვტილი გენიალური შვილი - გრიგოლ რობაქიძე მადლიანმა და კეთილმა შთამომავალმა გარდაცვალებიდან 60 წლის თავზე სამშობლოს სწორედ ამ დღეს დაუბრუნა და, იგი ტკივილებისგან გადაღლილ ქვეყანას, იარების მოსაშუშებლად, ქართული სიტყვისა და თავისთავადობის გასამტკიცებლად მიუჩინა.

გრიგოლ რობაქიძე დგას ახლა სიცოცხლით მონატრებულ „ცხრათვალა მზის“ ქვეშ, ფიქრებით - ახალგაზრდულ ჩვეული, მისეულ მისტიურ სამყაროში გადასული, სამშობლოს და მტკვრის დუდუნს მიყურადებული. სულით კი სვეტიცხოვლის კარიბჭესთან მოტრიალე - სამხრეთით წმინდა ნინოს გზისკენ მაცქერალი და მოუთმენლად ელოდება ივერიის ქალწულის გამოჩენას - მამულის გასაბრწყინებლად.

გრიგოლ რობაქიძის
საზოგადოების თავმჯდომარე
იამზე არველაძე
2022 წლის 28 ნოემბერი.

ასერთჯერ დაბადებული კაცი

გუშინ მთელი ღამე არ მეძინა. ერთ სქელტანიან წიგნს ვკითხულობდი, თავზე დამათენდა, ცრემლიც მომადგა, ახალშერიჟრაჟებულზე რომანის საყვარელი გმირი, რომ მოგიკვდება და დილიდან მთელი დღე გლოვობ ისე დამემართა.

მერე ვიარე, ვიხეტიალე სასიტყვეთში, როგორც ნეტარხსენებული უდიდესი მექართულე, ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე იტყოდა ხოლმე. თურმე ვაკვირდებოდი, მიკვირდა და მაკვირდებოდა რაღაცა არაამქვეყნიური, ენერგეტიკული მუხტით აღსავსე და აღმატებული. სტატიის სათაურიც დაწყებამდე მოვიფიქრე, ცოტა დავითრგუნე (ოღონდაც არ შემშინებია) ასერთი წლის მწერალზე უნდა შევდგომოდი წერას, ბევრისთვის სათაყვანო და სამაგალითო კაცისა. ბევრი ვიფიქრე ყველაფერზე დამეწერა თუ მხოლოდ ბოლო რჩეულზე, რომელსაც ყდაზე პირველი სამნიშნა რიცხვი ასი ამშვენებს და თავიდანვე დავუწყე ფურცლებს გადაშლა და მოფერება. ფურცლები თეთრი, არაგაყვითლებული დამხვდა (წიგნი ხომ 2022 წელსაა გამოცემული), ანუ გაყვითლებამდე, ხომ კიდევ ასი წელი რომ აკლია ისე.

ისევ კითხვამ გამაწვალა გავბედო თუ არა?

ჰოდა ვბედავ, ვნახოთ რა გამომივა.

თუმცა?

წლები მიდის მდინარესავით, სწრაფად, უკანმოუხედავად, დაუნდობლად, ჩვენ კი ვდგავართ მარადიულ ნაპირზე, რომელსაც სამშობლოს და მოყვასის სიყვარული ასაზრდოებს, დიდი შოთა რუსთველის გენიალურობა ახლავს და ქართული მწერლობის უსაზღვრო პატივისცემა.

ჟამთაღრიცხვის მდინარე კი ყოველთვის უკიდეგანო და ღრმაა, მიდის და მიდის უსასრულო სასრულეთში.

ძვირფასო მკითხველო, ბოლოს და ბოლოს უნდა გაგიმხილო ქუთაისს და არამარტო ქუთაისს, ჩვენს ქვეყანას ჰყავს ორსაუკუნეში მცხოვრები „სამსაუკუნოვანი მწერალი“, ვაჟა-ფშაველას (ესაა ჩემთვის მთავარი!) ოქროს მედლის მფლობელი, მრავალი პრემიისა და ჯილდოს ლაურეატი, მარადჭაბუკი ასერთი წლის ბატონი სიმონ არველაძე.

ვინც კარგად მიცნობს, მოეხსენება რომ ვაჟა-ფშაველაზე, როგორც კოსმოსის ბინადარზე და არამიწიერზე წლებია ვლაპარაკობ, როგორც კერძო თუ საზოგადოებრივ საუბრებში, ასევე სუფრასთან თამადობის დროს, ხშირად და უხშირესად, ამიტომაცაა ვაჟა-ფშაველას ბატონი სიმონ არველიძესიული ოქროს მედალი და პრემია ესოდენ ძვირფასი და საპატიო. სწორედ რომ იმ დღეს ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში ასი წლის იუბილეზე, მოვახერხე ამ საპატიო ჯილდოს გადაცემისას მისთვის მიმელოცა საუკუნოვანი იუბილე. ეს დღე კი არასოდეს დამავიწყდება თეთრ პერანში გამოწყობილი უკვე საუკუნის მწერალი, როგორი შემართებით და რუდუნებით ღებულობდა მილოცვებს, როგორ პასუხობდა ყველას მისი ტკბილქართულით.

ახლა ძირითადზე გადავიდეთ ანუ წიგნზე სამნიშნა რიცხვი რომ ამშვენებს გვირგვინშემოსილი. „წუთისოფელი მარადიულია მოძრაობის გაჩერებული წუთია. წუთი, როგორც დროისმიერი ფენომენი ცვალებადიადა არა სტატუს კვო, ანუ უძრავი წერტილი სამყაროში“, - იწყებს წინათქმას მწერალი. აუცილებლად გიჩნდება სურვილი განსაკუთრებით იმათთვის მისი ნასახსოვარი (ავტგრაფი) ან ნაჩუქარი (ავტოგრაფის გარეშე) - შეძენილი ძველი წიგნები წაუკითხავს, ჟამთ აღრიცხვის მდინარეს მიჰყვე და მარადიულ ნაპირზე გამოიყვანო ცურვის არმცოდნე ან ნაკლებმცოდნე ადამიანები. მაშველი რგოლივით ჩაეხუტო თანამოძმეებს და საშველი გაუჩინო ნაშველისა და საშველის ქართული სიტყვის საჯილდაო ქვა, რომ ჰქვია წუთისოფლის შარაზე დაგდებული.

ასეთია მხცოვანი მწერლის ბატონ სიმონ არველაძის ხედვა და თვალსაწიერი. იგი ქართული ლიტერატურული სიახლეების კარგად მცოდნე მწერალია. გარკვეულწილად კარს უღებს და ორიგინალური ფორმით ამკვიდრებს ქართული ლიტერატურის ნიშანდობლივ ტენდენციებს და ამით ცდილობს ნაზრევის გამოხატვის მისეული გზების მოძებნას, პრობლემების დასმის და გააზრების სიმონ არველიძისეული მიდგომა სწორედაც სხვაგვარად ახლებურად (ასაკიდამიუხედავად), საპირწონე საქმესაც შეგახედებს სწორად და სწორუპოვრად.მწერალის შთაგონების წყარო ყოველთვის მშობლიური მიწის სიყვარული, სამყაროსთან მარადიული კალმით უთანასწორო ჭიდილია ილიას, ვაჟას, აკაკის გალაკტიონის და რაც მთავარია ჩვენი ღმერთის (ყოველშემთხვევაში ჩემთვის ღმერთია) შოთა რუსთაველის ნათელით გაბრწყინებულ-გასხივოსნებული.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქალბატონი მარის და ბატონი სიმონის ოჯახის სპეტაკი და შემართებით უღალატო სიყვარული.

„ჩვენი წრფელი სიყვარული ისევ ვარდისფერია,

სიცოცხლე და სიყვარული ქვეყნად ყველაფერია“ ამბობს მხცოვანი პოეტი ახალგაზრდული გულით და შემართებით.

ამ სამაგალითო წყვილმა სიყვარულის სამი იუბილე გადაიხადა. თავისებური წლებთან შეზავებული და დროსთან ჩაჭიდული გამოძახილით. ორმოცდაათი წლის იუბილეს მიეძღვნა წიგნი „ვარდისფერი უღელი“, სამოცი წლის იუბილეს - „ჩვენი ცხოვრება უანკარეს ღვინისფერია“, ხოლო სამოცდაათი წლის იუბილეს - „სიყვარულის უშენობა“. საუკუნის მემატიანეს ბატონ სიმონ არველაძეს სახალხო მწერლის ლაურეატობაც მიენიჭა. ასევე დაჯილდოებული იქნა ილია ჭავჭავძის ოქროს მედლითა, ოქროს კალმით და პრემიით.

უსაფლავო მთაწმინდელმა, ცისფერყანწელმა, ტიციან ტაბიძემ თავისი საპროგრამო ლექსით დაგვემშვიდობა და მოვარდნილი მეწყერის წალეკილ-ნაგვირილი რითმები, შემოაყარა მომავალ საუკუნეს.

„სამჯერ ვარ დაბადებული
მონათლული ვარ სამჯერა,
ერთხელ სიკვდილი რას მიზამს
ერთხელ სიკვდილის არ მჯერა.“

კაცი ბევრჯერ უნდა დაიბადო და ერთხელ უნდა მოკვდე!

სიტყვით და საქმით უბერებელი, მწერალი, მხცოვანი ჭაშნაგირი ბატონი სიმონ არველაძე ასერთჯერაა (ჯერჯერობით) დაბადებული, ცოცხალია, ეწერება და წერს, უყვარს და ესიყვარულება, ემღერება და მღერის. ასოცწლამდე (როგორც ებრაელები ილოცებიან) კიდევ ცხრამეტი წელია დარჩენილი შემოქმედებითა და სიყვარულით აღსავსე.

მერე ვნახოთ...

მერაბ კვიცარიძე
ქუთაისის დ.ნაზარიშვილის სახელობის
საოჯახო მედიცინის ცენტრის
დირექტორი,
ქუთაისის საპატიო მოქალაქე,
ზურაბ გორგილაძის პრემიის
ლაურეატი,
საქართველოს მწერალთა კავშირის
წევრი.

გვახსოვს აფხაზეთი

საქართველოს არცერთი რეგიონი არ ივიწყებს აფხაზეთს და ხშირად გვანებივრებენ საჭირო და მნიშვნელოვანი ღონისძიებებით, რასაც აფხაზეთის არდავიწყება და მონატრება ჰქვია. მადლიერებით მოვიხსენიებთ მხოლოდ ამ წელს ჩატარებულ ღონისძიებებს. კერძოდ, ივლისში ქ. ბათუმში ორგანიზებულ სამდღიან „აფხაზეთობას“, თბილისში სექტემბრის თვეში ორ ლოკაციაზე, მთაწმინდასა და კუს ტბაზე არსებული ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში განხორციელებულ „აფხაზეთობასა“ და 21 ოქტომბერს ქ. ზუგდიდში ჩატარებულ „მეგრულ-აფხაზურ-სვანურ-ლაზურ“ ფესტივალს, სადაც „ემიგრანტების ბაღში“ ჩაიდგა აფხაზური ფაცხა სახელწოდებით „აბაყა“, რომლის გახსნა წილად ერგო აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელს, ბატონ დავით ფაცაციას. ჩვენი დელეგაციის სახელით ამ ფაცხის გვერდით დაირგო აფხაზეთის სიმბოლო „მარადმწვანე პალმა“. ყველა ასეთი ღონისძიება გულს გვითბობს აფხაზეთის საზოგადოებას.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ გივი ზაუტაშვილის, შემოქმედთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „გულანი“-ს, ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ცენტრის და ყვარლის მე-2 საჯარო სკოლის ორგანიზებით ყვარელში გაიმართა ღონისძიება – „გვახსოვს აფხაზეთი“. ეს გახლდათ ღონისძიებათა ციკლის დასკვნითი ნაწილი, რომელიც წლის განმავლობაში იმართებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ღონისძიებას უძღვებოდა კახეთის რეგიონში კულტურული მიმართულების ხელმძღვანელი, ლეილა ლეგაშვილი, რომელმაც შესავალ სიტყვაში ვრცლად ისაუბრა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გაუმჯობესების პერსპექტივებზე. ნაჩვენები იქნა ნაირა მარშანიას ფილმი „ადრე თუ გვიან“, რომელიც აფხაზეთიდან დევნილი ადამიანების ტკივილსა და იმედებს ასახავდა; ყვარლის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პედაგოგის, თინა ზურაბიშვილის ხელმძღვანელობით მაყურებლის წინაშე გააცოცხლეს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გმირულად დაღუპული ჯარისკაცები; სცენა დაეთმო აგრეთვე თემატურად შერჩეულ ქორეოგრაფიულ და საესტრადო ნომრებს.

ღონისძიება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების განმტკიცებას მიეძღვნა. ღონისძიების დასასრულს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ გამახარიამ ისაუბრა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე და შემდეგ – საპატიო სიგელებით დააჯილდოვა: ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი; საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი; საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომელი გოგი ფაცაცია და აფხაზეთის ომის ვეტერანი, აკადემია „გულანის“ პრეზიდენტი, მრავალი ჯილდოს მფლობელი, 11 წიგნის ავტორი – ნაირა მარშანია. საქართველოს მწერალთა კავშირმა კახეთის სახელმწიფო რწმუნებულს გიორგი ალადაშვილს გადასცა სიგელი „კულტურის ქომაგის“ წოდებით; სიგელი – „თამარიონის ენდალმა“ გადაეცა ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელს მაია ზარდიაშვილს. აკადემია „გულანის“ მიერ დაჯილდოვდა ყვარლის მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი თინა ზურაბიშვილი – სიგელით „მშვიდობის ალამდარი“. სიგელები გადაეცა, აგრეთვე, ღონისძიებაში მონაწილე ოცივე მოსწავლეს.

შეხვედრას აშუქებდა აფხაზეთის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის სატელელევიზიო არხი. ღონისძიება იყო მეგობრული გზავნილი კახეთიდან – ენგურს იქით მცხოვრები აფხაზი მოძმეების მიმართ და მიზნად ისახავდა ჩვენს შორის არსებული ჩატეხილი ხიდის აღდგენას და გამთლიანებას.

ნაირა მარშანია

მასწავლებელი

იგი თავისი ხანგრძლივი და ნათელი ცხოვრებით მაგალითს გვაძლევდა, თუ როგორ უნდა გიყვარეს სამშობლო. იგი მაგალითს გვაძლევდა, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს თანამოკალმე და თანამოდარდე. ამიტომაც მიუბოძა უფალმა გრიგოლ ხანძთელის ასაკი. ამიტომ დგას ახლა სიმონ არველაძის კუბოსთან ყარაულში მთელი შეგნებული საქართველო.

მაყვალა გონაშვილი, რევაზ მიშველაძე, სოსო სიგუა,
ბალათერ არაბული, თემურ ჩალაბაშვილი



სიმონ არველაძე

ქართულმა სამწერლო ოჯახმა მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა მხცოვანი, ღვაწლმოსილი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ვარდენის ძე არველაძე.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა უხუცესი შემოქმედი, რომელიც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ სიკეთისა და სათნოების უკეთილშობილეს იდეალებს ემსახურებოდა, სამშობლო იყო მისი არსებობის ანი და ჰოე, გულისფიცარზე ჰქონდა ამოტვიფრული დიდი ილია მართლის მართლაც რომ ღვთაებრივი სამება - მამული, ენა, სარწმუნოება...

სიმონ არველაძე დაიბადა 1921 წლის 15 მარტს ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერეთაში (სალომინაო). 1940 წელს, ქუთაისის რკინიგზის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, იგი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, სადაც მეორე მსოფლიო ომმა მოუსწრო...

1946 წელს დემობილიზაციით შინ დაბრუნებული, მომდევნო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც 1952 წელს დაასრულა. მას შემდეგ სიმონ არველაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა ლოგიკისა და ფსიქოლოგიის მასწავლებლად, ქუთაისის პიონერთა სასახლის ნორჩ შემოქმედთა წრის ხელმძღვანელად, თსუ ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების ფილიალის გამგედ. ლექციებს კითხულობდა ქუთაისის პედაგოგიურ და პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში, იყო კავკასიის ხალხთა მეცნიერების აკადემიის ნამდვილი წევრი, ფილოსოფიისა და პოლიტოლოგიის კათედრის გამგე, სამეცნიერო მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, წიგნთმცოდნეობის უნივერსიტეტის რექტორი, ქუთაისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საზოგადოება „ცოდნის“ ქუთაისის განყოფილების ლიტერატურისა და ხელოვნების სექციის ხელმძღვანელი, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ჯერ ახალგაზრდა მწერალთა, შემდგომ კი პროზის, კრიტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის სექციის ხელმძღვანელი, არჩეული იყო ჟურნალ „განთიადისა“ და გაზეთ „უქიმერიონის“ სარედაქციო საბჭოს წევრად, უნივერსიტეტ „გელათის“ აკადემიური საბჭოს წევრად, საზოგადოება „ქუთაისელის“ დარბაზის წევრად, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-კონსულტანტად...

სიმონ არველაძე პროფესიით ფილოსოფოსი იყო და მნიშვნელოვანი კვალიც დაამჩნია ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას. ამის მკაფიო დასტურია მისი მონოგრაფიული გამოკვლევები, ისეთები, როგორიცაა „იდეალი და შემოქმედების თავისუფლება“, „სულის სარკეში“, „შემოქმედება და თავისუფლება“, „აწმყო - ყოფიერების მეტამორფოზები“. ამ თხზულებებში სიმონ არველაძე წარმატებით იკვლევდა შემეცნებისა და შემოქმედების ურთიერთმიმართებას, თავისუფლების პრობლემებს, მხატვრული და ფილოსოფიური შემეცნების სფეროში წარმოსახვის როლისა და მისი გამოვლენის სპეციფიკის საკითხებს. საგულისხმოა, რომ ბატონი სიმონი ათწლეულების განმავლობაში სტუდენტ ახალგაზრდობას აზიარებდა ფილოსოფიისა და ესთეტიკის საფუძვლებს. 1972 წელს ნაშრომისათვის „შემოქმედების თავისუფლების პრობლემისათვის“ ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მიენიჭა, გახდა დოცენტი, 1990 წლიდან კი - პროფესორი...

და მაინც ჩვენთვის, ქართველი მწერლებისთვის, სიმონ არველაძე, უპირველესად, მწერალი იყო, ხელხვავიანი, უაღრესად ნაყოფიერი კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე. იგი გატაცებით იკვლევდა უახლესი ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესებსა და კანონზომიერებებს.

მისი ლიტერატურული დებიუტი 1940 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ გამოაქვეყნა პირველი ლექსი. მას შემდეგ მწერლის ლექსები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, მხატვრული ნარკვევები სისტემატიურად ქვეყნდებოდა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა და მნიშვნელობა შემოქმედის წიგნებს: „რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, „წარმოსახვა და მხატვრული იდეალი“, „არტურ ლაისტი და საქართველო“, „უკრაინული მოტივები“, „პოეზია და თანამედროვეობა“, „შთაგონება და პოეზია“, „კრიტიკული ნარკვევები“, „შემოქმედებას სიმართლე უყვარს“, „სიახლის გრძნობა“, „გალაკტიონი - ხელოვნებას“, „სიყვარულს უშენებია“, „ესეისტური ჩანაწერები“, „ჩვენი ცხოვრების გზა სიზმარია“, „ლირიკა და ესეისტიკა“, „ლირიკული სპეკალი“, „მეგობრობის მარადმწვანე ხე“. ამ წიგნებმა ყველას თვალნათლივ დაანახა, თუ რა გატაცებითა და გზნებით იკვლევდა შემოქმედი ქართული კულტურის, კრიტიკის, ესთეტიკისა და ფილოსოფიური აზროვნების საკითხებს. რა საინტერესო წერილები მიუძღვნა ქართული მწერლობის ისეთი დიდოსტატების შემოქმედებას, როგორნიც იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, რევაზ მარგიანი, შოთა ნიშნიანიძე... თვალსაჩინო წვლილი შეიტანა გალაკტიონოლოგიაში, გაამდიდრა რა იგი ახალი კრიტიკული ეტიუდებით.

სიმონ არველაძის მრავალწლიანი, ნაყოფიერი მოღვაწეობა აღინიშნა ღირსებისა და „გამარჯვების ორდენებით, საბრძოლო და „ომის ვეტერანის“ მედლებით. მინიჭებული ჰქონდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ილია მეორის სახელობის, ხალხთა მეგობრობის პრემიები, დაჯილდოებული იყო საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, ქართული კულტურის ამაგდარის, უმაღლესი განათლების წარჩინებული მუშაკის, წლის რჩეული კალმოსნის საპატიო წოდებებით. არჩეული იყო ქუთაისისა და ვანის საპატიო მოქალაქედ. ვანელებმა ოქროს მედლით აღნიშნეს სიმონ არველაძის დამსახურება ქვეყნის წინაშე.

ლამის გრიგოლ ხანძთელის ასაკს მიაღწია ამ კელაპტარივით სუფთა და უმწიკვლო ბიოგრაფიის მქონე შემოქმედმა, კელაპტარივით ბოლომდე ჩამოიღვენთა მშობელი ქვეყნის სამსახურში და ქართველობას დაუტოვა ერთი მშვენიერი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ჩუმად, უხმაუროდ ემსახურო მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს.

ღმერთმა მარადიულ ნათელში დაამკვიდროს სიმონ არველაძის მშვენიერი სული.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა მწერალი და მეცნიერი

ზურაბ კიკნაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა პოეტ ალიოშა (ალი) გუგუციძის და

ცუცა გუგუციძე-სუბატაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა პოეტ ეთერ აფაქიძის ძმა

შოთა აფაქიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ერის ტაძარი
№1
ფასი 150 ლარი
1 იანვარი - 15 თებერვალი
2023
მისამართი: ვაჩაბლის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.: 293-55-75
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე
პასუხისმგებელი მდივანი
სოსო სიგუა
რევაზ მიშველაძე
მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail. ru; sososigua@yahoo. com
9 771987 698009